ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

1 მარტიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
დონალდ ტრამპი
იფიქრე ჩემპიონივით
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

დონალდ ტრამპი
იფიქრე ჩემპიონივით

სამშაბათი, 1 მარტი, 2016 №50 (6976) ფასი: 50 თეთრი

# სანდრა რულოვსი ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი იქნება?



გვ.3

## მიხეილ მაჭავარიანი: „სიაში ალბათ გიორგი ქადაგიძეც მოხვდება“





## ერევანი საქართველოს სომეხი მამაკაცების გაფუჭებაში ადანაშაულებს



გვ.4

ვან ბაიბურთი: „კაცების გადაკოცნა ძველი სომხური ტრადიციაა“

„არჩევანი ისევ ცუდსა და უარესს შორის უნდა გავაკეთოთ“





გვ.5

## გელა ნიკოლაიშვილი: „კოალიციის პარტიებს ცალ-ცალკე შანსი არ აქვთ“

## ზურაბ აბაშიძე: „ალექსი პეტრიაშვილმა თავდამსხმელები ვერ იცნო“

გვ.2



„ეს შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა იყო“





გვ.4

## ანზორ წოწონავა: „უმაღლესებიდან გარიცხული ახალგაზრდები ციხეში ხვდებიან“



გვ.5

„საქართველოს პარლამენტმა სასწრაფოდ უნდა მიიღოს ეკონომიკური ბლოკის კანონები“

ISSN 1987-9385

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.3

## ალა დუდაევა: „მე ძალიან მომწონს მიხეილ სააკაშვილი“

# ზურაბ აბაშიძე: „ალექსი პეტრიაშვილმა თავდამსხმელები ვერ იცნო“

## „ეს შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა იყო“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატები ალექსი პეტრიაშვილის საქმესთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრთან და შს მინისტრთან ითხოვენ შეხვედრას. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამ მოთხოვნის მიზეზებს განმარტავს.





**ზურაბ აბაშიძე:**

– ჩვენთვის ახლა მთავარია, რაც შეიძლება სწრაფად გამოჯანმრთელდეს ალექსი პეტრიაშვილი. მისი მდგომარეობა დამძიმდა და მეორე ოპერაცია დასჭირდა. ექიმები გვეუბნებიან, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ის მაინც რჩება რეანიმაციულ განყოფილებაში.

***– თუ მოხდა მისი დაკითხვა?***

– არა, ალექსი არ არის დაკითხული. რამდენიმე ადამიანი უკვე დაიკითხა, რაც შეეხება ალექსის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, რთული მდგომარეობაა. ერთი ტყვია ისევ რჩება სხეულში, ვინაიდან არის საშიშროება, რომ უარესი შედეგები მოჰყვეს მის ამოღებას. როგორც ექიმებმა გვითხრეს, პერიტონიტი განვითარდა და ამიტომ გახდა საჭირო მეორე ოპერაცია. ალექსისთვის მიყენებული ჭრილობები სასიკვდილო ჭრილობებია, უბრალოდ, ის გადარჩა.

***– თანაგუნდელები მუხლის გადაკვალიფიცირებას ითხოვთ. მკვლელობის მცდელობის მუხლით უნდა აღძრულიყო საქმე?***

– დიახ, ჩვენ ვითხოვთ, მოხდეს გადაკვალიფიცირება. ეს არ იყო უბრალოდ დაშინება და ა.შ. ადამიანი გაიმეტეს სასიკვდილოდ, მას 5 ტყვია ესროლეს და სასიკვდილოდ დაჭრეს, უბრალოდ ალექსი, მადლობა ღმერთს, გადარჩა. ამიტომ სხეულის განზრახ დაზიანების მუხლი აქ არაფერ შუაშია. როგორც ჩანს, გამოძიება სტანდარტულად მოქმედებს.

## „გვაინტერესებს, ცხელ კვალზე რატომ არ გაიხსნა დანაშაული“

***– არ ხართ გამოძიებით კმაყოფილი?***

– როგორ უნდა ვიყოთ.

***– თუმცა, საგამოძიებო ორგანოები აცხადებენ, რომ ინტენსიური ძიება მიმდინარეობს.***

– ჩვენ ველოდებით ამ ინტენსიური ძიების შედეგებს. დღისით, მზისით, შუა ქალაქში დანაშაული არ უნდა ხდებოდეს, ეს არის აქ მთავარი. რაც უნდა ილაპარაკონ უმრავლესობის წევრებმა და რა განცხადებებიც უნდა გააკეთონ, მთავარი არის ის, რომ ჩვენს ქალაქში კრიმინალი მოხდა, შეიარაღებული ადამიანები ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფლად გადაადგილდებოდნენ და დანაშაულიც ჩაიდინეს. ამაზე უნდა გაგვცენ ხელისუფლების წარმომადგენლებმა პასუხი და არა ის, რომ თურმე ეს ყოფილა პირადი მოტივით ჩადენილი დანაშაული.

***– თქვენმა პარტიის ლიდერმა ამაზრზენი უწოდა ამ განცხადებებს.***

– დიახ, რადგან სწორედაც ამაზრზენი მოსასმენი იყო ეს განცხადებები მათი მხრიდან. ეს იყო არაადეკვატური შეფასებები, მით უფრო, პირველივე წუთებში, როდესაც გაიგეს, რომ მოხდა საშინელი ფაქტი, მათ კოლეგას ტყვიით გაუსწორდნენ შუა ქალაქში. არავინ არაფერი იცის, გამოძიების შედეგად არ არის არაფერი დადგენილი, მოვლენებს გაუსწრეს და შეფასებებიც ასე მარტივად გააკეთეს, რომ თურმე პირადული ყოფილა ყველაფერი.

ცხოვრება პირადი ურთიერთობებია და სხვა არაფერი, მაგრამ როდესაც ერთი ადამიანი მეორეს იარაღს ესვრის, მოსაკლავად გაიმეტებს, აქ პირადული მთავრდება და იწყება კრიმინალი. სად არის ამ დროს სახელმწიფო?!

ამ კითხვაზე უნდა გაგვცეს ხელისუფლებამ პასუხი და ამაზე უნდა საუბრობდნენ და არა იმაზე, რაზეც, მათდა სამარცხვინოდ, ისაუბრეს.

***– ადეკვატურობას უწუნებთ?***

– ცხადია. ღმერთმა დაიფაროს, რომ პრემიერიც ასე საუბრობდეს, მაშინ განგაშის ზარების რეკვა დაგვჭირდებოდა. ამ ფონზე მოქალაქეების დაცულობაზე ალბათ საუბარი ზედმეტია, რაც არავის გვახარებს, პირიქით, ძალიან გვაშფოთებს.

***– თავისუფალი დემოკრატები პრემიერთან და შს მინისტრთან შეხვედრას რატომ ითხოვთ?***

– ამ ფაქტიდან უკვე რამდენიმე დღე გავიდა, საქმის გამოძიება ცხელ კვალზე არ მოხდა. გვაინტერესებს, რა საგამოძიებო ღონისძიებები გატარდა, რა პერსპექტივა აქვს დამნაშავეების დაკავებას, ვინ არის ამ დანაშაულის შემკვეთი. ეს დანაშაული არის შეკვეთილი, რადგან, როგორც ალექსიმ გვითხრა, მან ვერ იცნო თავდამსხმელები, ერთს კი ეკეთა ნიღაბი, მაგრამ მეორე უნიღბოდ იყო. ეს ადამიანები იყვნენ ამ დანაშაულის შემსრულებლები.

***– შეგხვდებათ პრემიერი?***

– არშეხვედრის მიზეზი რა უნდა იყოს, მოუცლელობა? არა მგონია. რა თქმა უნდა, მათ ალბათ ურჩევნიათ, რომ ეს შეხვედრა მოხდეს იმ დროს, როდესაც კონკრეტული რაღაც ექნებათ ხელთ, ანუ გარკვეული შედეგი ექნებათ.

***– ცხელ კვალზე რატომ ვერ მოხდა საქმის გახსნა?***

– აი, ამ კითხვაზე გვაინტერესებს პასუხი. ეს კითხვა საგამოძიებო ორგანოებს უნდა დაუსვათ, ჩვენც გვაინტერესებს ამაზე პასუხი. ყოველ საათსა და დღეს აქვს მნიშვნელობა.

ჩვენ მოლოდინში ვართ, რომ ვინც ეს ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინა, დაკავებულები იქნებიან და ასევე გაირკვევა დამკვეთის ვინაობა.

ჩვენ ვარაუდებით არ ვსაუბრობთ, ჩვენ ველოდებით გამოძიების შედეგებს, ვარაუდებით ხელისუფლება გვესაუბრება. პირდაპირ გეტყვით, რაც დღე გადის, ხელისუფლების მდგომარეობა მძიმდება ამ საქმესთან დაკავშირებით. ასევე ამ მდგომარეობას ამძიმებს ის განცხადებები, რომელთაც ისინი ზევიდან ამ ვითარებას ამატებენ.

# „თურქეთმა შესაძლოა საქართველოს აჭარა მოსთხოვოს“

რუსული გამოცემა „Независимая газета“ მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მსოფლიო პოლიტიკის ფაკულტეტის დოცენტის ალექსეი ფანენკოს სტატიას აქვეყნებს, სადაც განხილულია თურქეთის დამოკიდებულება ბლოკ „სუამ“-თან, „სუამ“-ის ისტორია და მისი პერსპექტივა – გახდება თუ არა ბლოკი სიცოცხლისუნარიანი.




საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

– გასულ თვეში თურქეთის დიპლომატიამ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან კონტაქტები გაააქტიურა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმეტ დავუთოღლუ 15 თებერვალს ჯერ უკრაინაში იმყოფებოდა, სადაც მან განაცხადა, რომ რუსეთმა და სომხეთმა ანტიაზერბაიჯანული ალიანსი შეკრესო, შემდეგ კი თბილისში ჩავიდა და აზერბაიჯანისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდა. როგორც ჩანს, თურქული დიპლომატია ცდილობს „სუამ“-ის მსგავსი რაღაც ბლოკი შექმნას იმ ქვეყნების მონაწილეობით, რომლებსაც რუსეთთან პრობლემები აქვთ, – აღნიშნულია სტატიაში.

ავტორი ვრცლად აღწერს „სუამ“-ის შექმნის ისტორიას: „სუამ“-ი გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში ჩამოყალიბდა დსთ-ის ალტერნატივის სახით, როცა 1997 წლის ოქტომბერში საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვასა და უკრაინის წარმომადგენლებმა სტრასბურგის ფორუმზე განაცხადეს, რომ „რუსეთის ჰეგემონიის საწინააღმდეგოდ“ კონსულტაციების სისტემა უნდა შეიქმნასო. 1999 წელს ოთხეულს უზბეკეთიც შეუერთდა და „სუამ“-ი „სუუამ“-ად გადაიქცა.

ამ სუბბლოკის განვითარების მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს 2001 წლის 7 ივლისს მიღებული იალტის ქარტია, რომლის თანახმად „სუუამ“-ი სრულფასოვან ორგანიზაციად – „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციად“ უნდა გარდაქმნილიყო. მაგრამ „კლასიკური სუუამ“-ი იმ დროს ვერ შეიქმნა. მას ჯერ უზბეკეთი ჩამოშორდა (აშშ-სთან ურთიერთობაში გაჩენილი პრობლემების გამო), შემდეგ კი აზერბაიჯანი (პრეზიდენტად ილჰამ ალიევის არჩევის შემდეგ). მომდევნო პერიოდში არაერთხელ იქნა მცდელობა მისი განახლების მიზნით (პოლონეთსაც ჰქონდა განზრახვა, რუმინეთს და ლიტვას), მაგრამ ამაოდ.

ისე ჩანს, რომ ახლა, ალბათ, „სუამ“-ის არაფორმალური ლიდერად შეიძლება თურქეთი მოგვევლინოს. საერთოდ, თურქეთის მონაწილეობის იდეა რუსეთის ალტერნატიულ ქვებლოკში ახალი არ არის. ანკარის ზრახვების პირველი იდეოლოგი პრეზიდენტი სულეიმან დემირელი გახლდათ, რომლის თაოსნობით 1992 წელს ანკარაში თურქეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის მონაწილეობით ხელი მოეწერა ერთმანეთთან თანამშრომლობის დეკლარაციას, 1993 წელს კი ანტალიაში გაფორმდა თურქულენოვანი ხალხებისა და სახელმწიფოების ერთობისა და ურთიერთდახმარების დეკლარაცია. თუმცა რეალური პარტნიორობის მექანიზმების შექმნა ვერ მოხერხდა: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოუგვარებლობამ დაადასტურა, რომ თურქეთს არ აქვს კავკასიის და მით უმეტეს, ცენტრალური აზიის პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელი რესურსები.

ამჯერად თურქულ დიპლომატიას იმედი აქვს, რომ ადრინდელ პარტნიორობას სხვა შემადგენლობით აღადგენს: ანკარა ახლა ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ თურქულენოვან ქვეყნებს, არამედ იმ სახელმწიფოებსაც, რომლებსაც რუსეთთან პრეტენზიები და პრობლემები აქვთ, ანდა, თუ რუსეთი რომელიმე მათ მოწინააღმდეგეს ეხმარება (აზერბაიჯანი). თეორიულად ასეთი ფორმატით შეიძლება მოლდოვა და რუმინეთიც დაინტერესდნენ.

მაგრამ თეორიულად მიმზიდველი „თურქული სუამ“-ის ფორმატის განხორციელება დღეისათვის ნაკლებად რეალურია. „თურქული სუამ“-ი 1990-იან წლებში განახლებული პანთურქიზმის ვარიანტის სახით იქმნებოდა, არათურქულ ქვეყნებს კი ანკარასთან საკმაოდ რთული დამოკიდებულება აქვთ. გარდა ამისა, ისინი მზად არ არიან ორიენტირება მთლიანად თურქეთზე აიღონ, რომელსაც მაინცდამაინც ძლიერი სამხედრო „ქოლგა“ არ აქვს.

ჯერ ერთი, რომ საქართველოს ტრადიციულად აქვს იმის შიში, რომ ვაითუ მას თურქეთმა ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენოს. ეს პირველ რიგში ეხება აჭარის რეგიონს, რომელსაც თურქეთთან ისტორიული კავშირები აქვს. მოსკოვსა და ერევანში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები რუსეთ-თურქეთის 1921 წლის მარტის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების შესაძლო დენონსირების თაობაზე, თუმცა ამ დოკუმენტის გაუქმებით ტერიტორიული პრობლემები შეიძლება გაუჩნდეს როგორც თურქეთს (სომხეთის პრეტენზიები არარატის მიმართ), ასევე საქართველოს (თურქეთს შეუძლია აჭარა მოითხოვოს).

მეორე – აზერბაიჯანი შეშფოთებულია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავებით. როცა რუსეთს და თურქეთს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ (სირიაში რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებამდე), აზერბაიჯანს იმედი ჰქონდა, რომ მოსკოვის პოზიცია მთიან ყარაბაღთან მიმართებით ადრე თუ გვიან შეიცვლებოდა და აზერბაიჯანის პოზიციას დაუახლოვდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამასთან, ბაქო აცნობიერებს იმასაც, რომ თურქეთთან მისი მკვეთრი დაახლოება რუსეთისა და სომხეთის ალიანსის განმტკიცებას გამოიწვევს და ერევანს აფხაზური სცენარის გამეორების იმედს ჩაუნერგავს.

მესამე – არსებობს თურქეთ-უკრაინის დაპირისპირების პოტენციური შესაძლებლობა. მართალია, კიევი დღეს მხოლოდ იმაზე მუშაობს, რომ როგორმე ვინმემ რუსეთს რაიმე „ავნოს“, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ თურქეთი თავის ფრთებქვეშ იფარავს ხერსონის ოლქში მოქმედ ყირიმელი თათრების მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს და დგება საკითხი – შეინარჩუნებს თუ არა სამომავლოდ უკრაინა ამ ტერიტორიებისადმი კონტროლს...

რა თქმა უნდა, ზემოთ ნათქვამი არ ნიშნავს, რომ რუსეთი ინერტულად უნდა მიუდგეს „სუამ“-ის განახლების საკითხს. ხშირად ხდება ხოლმე, რომ რომელიმე „საერთო მტრისადმი“ დაპირისპირება (ამ შემთხვევაში – რუსეთისადმი) ძველ მოწინააღმდეგეეებს ერთმანეთში წყენას ავიწყებს და ისინი ერთიანდებიან. რუსეთის ამოცანაა პროცესების ღრმა მონიტორინგი განახორციელოს და ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან დიალოგი შეინარჩუნოს. „სუამ“-თან 20 წლიანი დამოკიდებულების გამოცდილება უკვე გვაქვს, – აღნიშნულია სტატიაში.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სანდრა რულოვსი ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი იქნება?

## მიხეილ მაჭავარიანი: „სიაში ალბათ გიორგი ქადაგიძეც მოხვდება“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ იქნება ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი, რა ინფორმაციები გამოდის პარტიის ოფისიდან, ვისთან მიდის მოლაპარაკებები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი **მიხეილ მაჭავარიანი** ესაუბრება.

***– წინა კვირას „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადეთ, რომ ნაციონალების საარჩევნო სია სერიოზულად განახლდებოდა. გუშინ, 29 თებერვალს, ტელეკომპანია პირველმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ნაცმოძრაობის სიის პირველი ნომერი სანდრა რულოვსი იქნება. მართალია ეს ინფორმაცია?***

– რა მართალი, რა ნუმერაცია? საარჩევნო სიის პრინციპებიც კი არ გაგვივლია, რომ ამაზე პოლიტსაბჭოს სხდომა ჩავატაროთ. მხოლოდ ის ვიცით, რომ სიაში ახალი სახეები გვეყოლება. მათთან მოლაპარაკებებიც არ არის ამ ეტაპზე დასრულებული.

ყველაზე რთული ნუმერაციის განსაზღვრაა და ის ბოლო დღეების ამბავია. ეს ყველაფერი პარტიის ყრილობაზე უნდა გამოაცხადო. ჩვენ შესაძლოა დავასახელოთ ის ხალხი, ვისთანაც წარმატებით დავასრულებთ მოლაპარაკებებს, მაგრამ მეეჭვება, სექტემბრამდე გახდეს ცნობილი, ვინ რომელი ნომერი იქნება. ახლა რომ მკითხოთ, რომელი ნომერი იქნებიო, აზრზე არა ვარ და რა გიპასუხოთ.

***– კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და რაკი ეს ინფორმაცია გავრცელდა, ალბათ მიდის ამ თემაზე საუბარი.***

– პარტიაში საუბარი ათას რამეზე მიდის. ვიღაცამ შესაძლოა ჩვენი ოფისის სხვადასხვა კაბინეტებში ნაჭორავებიდან ანალიზი გააკეთა და ეს ყველაფერი ინგა გრიგოლიას მოუყვა. მანაც გამოაცხადა ეს ინფორმაცია და ატყდა სოციალურ ქსელებში ერთი ამბავი. ძალიან გვიხარია რომ ჩვენს ამბავს ამხელა ინტერესი მოჰყვა.

წერენ, რომ სიაში იქნებიან ადვოკატი ოთო კახიძე, სამართალმცოდნე ზაზა ბიბილაშვილი, თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ნიკა მელია, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და პარტიის



აღმასრულებელი მდივანი სერგო რატიანი. სავარაუდოდ, სიაში იქნება ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე.

***– კაბინეტებში ნაჭორავებიდან გააკეთეს ანალიზიო და გამოდის, რომ ამაზე მიდიოდა საუბარი?***

– სიის ნუმერაციაზე საუბარი არ ყოფილა. საარჩევნო სიის განახლება რომ მოხდებოდა, ამაზე მიშა სააკაშვილმაც თქვა და მეც ვისაუბრე „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მთელი აქცენტი რატომღაც სიის პირველ ნომერზე კეთდება, მაგრამ უფრო უკეთესი უნდა იყოს სიის მეხუთე ნომრობა.

***– რითია გამორჩეული №5, ვინმე თქვენი საყვარელი ფეხბურთელი თამაშობდა ამ ნომრით?***

– არა, კაცო, ნაციონალების ნომერია 5. ჰოდა, ძალიან მაგარი იქნება, მეხუთეში იყო მეხუთე.

***– სადარდებელი მოგმატებიათ, სხვები მთელ ძალისხმევას პირველი ნომრის შერჩევაზე ხარჯავენ. თქვენთან მეხუთე ნომერიც საგანგებოდ ყოფილა შესარჩევი.***

– ამაზე არ ინერვიულოთ, მართლაც საგანგებოდ შევარჩევთ. სიაში სულ კარგი ხალხი გვეყოლება.



***– პიროვნებებთან მოლაპარაკებები ახსენეთ, ნიკა მელია და გიორგი ქადაგიძე იქნებიან სიაში?***

– რა ნომერი იქნება, არ ვიცი, მაგრამ ნიკა მელია აუცილებლად მოხვდება ჩვენს სიაში. რაც შეეხება გიორგი ქადაგიძეს, მას საბოლოო პასუხი არ მოუცია. ძალიან გამეხარდება, თუ ის ჩვენთან მოხვდება.

საბოლოო პასუხი არც სანდრა რულოვსისგან ვიცით. ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არაფერი არ არის ცნობილი.

***– ისიც ითქვა, რომ მან შესაძლოა ზუგდიდში იყაროს მაჟორიტარად კენჭი. არც მაჟორიტარობის კანდიდატების შერჩევა მიდის?***

– არც ამაზე ვიცი რამე. შესაძლოა, ვიღაცასთან მიდიოდა საუბარი, მაგრამ ჩემამდე არაფერს მოუღწევია.

***– წინა ინტერვიუში ცოცხალი თავით არ გვითხარით, ვისთან აწარმოებთ მოლაპარაკებას. ის მაინც გვითხარით, მათი გვარების გაჟღერება ამხელა რეზონანსს თუ გამოიწვევს?***

– მათი გამოჩენა აუცილებლად გამოიწვევს რეზონანსს. ეს ხალხი თავის საქმეში ძალიან მაგარია, მაგრამ პოლიტიკაში არ არის ნამყოფი.

***– არც სისხლიანი 9 წლით იქნებიან დაღდასმულები?***

– ვაკონკრეტებ, საუბარია პოლიტიკაში არმყოფ, მაგრამ თავის საქმეში ძალიან მაგარ ხალხზე.

***– მეოცნებეების მსგავსად თქვენც მოჭიდავეების და ფეხბურთელების***



***მოყვანას ხომ არ აპირებთ? მაგათი ნაწილი თავის საქმეში ძალიან მაგარია.***

– მოჭიდავე ერთი გვყავს, ზაზა კედელაშვილი და მეტი არ გვინდა. არადა კარგი ბიჭია, კუნთებზე არ იყურება. ფეხბურთელებს რაც შეეხება, მეც კარგად ვახერხებ ამას და ვეტერანებსაც კარგად ვეთამაშები ხოლმე.

ამ სფეროს წარმომადგენლებსაც ვესაუბრებით და გადაჭრით უარს არ ვამბობ, მაგრამ მთავარი ჩვენი აღმოჩენა და შემოთავაზება ეს სფეროები არ იქნება. მთავარი აქცენტი იურისტებსა და ეკონომისტებზე გაკეთდება.

ვესაუბრებით ისეთ ხალხსაც, რომლებმაც თავიანთ სფეროში წარმატებებს მიაღწიეს და საპარლამენტო უმრავლესობას გამოადგებიან.

***– რომელ საპარლამენტო უმრავლესობას?***

– ჩვენსას. ეჭვიც არ მეპარება, რომ მომავალ პარლამენტში ჩვენ ვიქნებით უმრავლესობა.

***– ეჭვი რატომ არ გეპარებათ, რაიმე იცით?***

– შექმნილ ვითარებას ვგრძნობ და თანაც არჩევნები არ არის ოლიმპიადა, სადაც მთავარია მონაწილეობა და არა – გამარჯვება.

***– ყველა პარტია გასამარჯვებლად იღებს არჩევნებში მონაწილეობას.***

– ჩვენ ყველა არა ვართ, ჩვენ ვართ ნაციონალური მოძრაობა. ამიტომაც ვამბობთ, რომ ან ვიგებთ არჩევნებს, ან.... არა, არავითარ ან არ არის, მხოლოდ მოგებისთვის ვიბრძოლებთ. სხვა გზა უბრალოდ არა გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მთავრობა შეიცვალა, ეკონომიკური ზრდა არის 0,8%.

***– მხოლოდ პრემიერი შეიცვალა, თანაც 2 თვეში რა უნდა მოესწროთ.***

– ბევრი რამე, საჭირო იყო მონდომება.

***– ხელისუფლებაში რომ მოხვედით, ასე მალე შეცვალეთ სიტუაცია?***

– კიიიიი. ზუსტად 2 თვეში შევცვალეთ. იანვარში ხომ მოვედით. მარტში უკვე იმდენი შემოსავლები გვქონდა, რომ გაყინული პენსიების 4 თვე დავარიგეთ.

***– ეს პენსიები ხომ ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის წართმეული ფულით დაარიგეთ? აღარ გახსოვთ, როგორ აფორმებინებდით პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმებებს?***

– მე არავის არაფერს ვაფორმებინებდი. ამას ირაკლი ოქრუაშვილი აკეთებდა. ახლა ის ყველა საქმეში მთავარ მოწმედ ჰყავთ და გამოდის, რომ სულ მართალი ყოფილა. პროკურატურასთან გაფორმებული გარიგებებით არ დაგვირიგებია პენსიები, ეს იმის დამსახურება იყო, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლიდან ძალიან მალე საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა.

წელს იცით, რა მოხდა? წინა წლის ამ პერიოდთან შედარებით გაცილებით ნაკლებია შემოსავალი. ეს ნიშნავს, რომ საგადასახადო შემოსავლების კუთხითაც პრობლემებია.

ეკონომიკას არ ჩავუღრმავდები და მკითხველს ტვინს არ გავუბურღავ, თორემ საოცრებები ხდება. 1 სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი გაზრდილია მინიმალურად და მხოლოდ იმიტომ, რომ წინა წელს იყო დათვლილი 4.500.000 ადამიანზე, წელს დათვლილია 3.700.000-ზე.

***– ეს რანაირად?***

– 800.000 მოაკლდა და ასეთ პირობებშიც კი მშპ მინიმალურად არის გაზრდილი. რეალურად შემცირდა.

***– 800.000 ადამიანი მოაკლდაო და სად წავიდა ეს ხალხი?***

– სად წავიდა, არ ვიცი. საქსტატი ამბობს, აღწერის დროს დავთვალეთ და ასე გამოვიდაო. ასე რომ, უბრალოდ ვალდებული ვართ, არჩევნები მოვიგოთ.

# ლევან ვასაძე: საგანი „მე და საზოგადოება“ სახიფათო და მიუღებელია“

– არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ სკოლებში იმ საგნის შეტანა, რომლის სახელწოდებაა „მე და საზოგადოება“ და რომელსაც ასე ლობირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, – აღნიშნული განცხადება პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ გააკეთა.





ვასაძის აზრით, აღნიშნული საგანი არის სახიფათო და მიუღებელი.

– თითქმის ერთი წელია ამ ინიციატივას ვებრძვით, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით არავითარ კავშირში არ არის ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის განათლების პრიორიტეტებთან, არის შეკვეთილი და ინსპირირებული უცხოური არასამთავრობოების მიერ და პირდაპირ საფრთხეს უქმნის ჩვენი შვილების განვითარებას. ჩვენი რეაქციის შედეგად, საგნის ე.წ. სტანდარტის რედაქციაში ჯერჯერობით ველარ ნახავთ ფორმულირებებს, რომელიც მის პირველ რედაქციაში იყო.

იქ ეწერა, რომ ამ საგნის ფარგლებში ჩვენს შვილებს უნდა დაავალონ ითამაშონ როლური თამაშები ყველა სახის უმცირესობისა და განაცდევინონ მათ ჩაგვრა. იმავე რედაქციაში ეწერა, რომ ბავშვებმა კლასში უნდა განიხილონ, რატომ ვერ უგებენ მათ ბოლომდე მშობლები და ოჯახის წევრები – ერთგვარი მოდერნიზებული პავლიკა მოროზოვის ინსტიტუტი.

ამავე რედაქციაში ეწერა, რომ ბავშვმა მშობლებს უნდა ჩაუტაროს ინტერვიუ, თუ რატომ არ იცავენ ისინი ჯანსაღი ცხოვრების წესს და წარმოადგინონ ამ ინტერვიუს შედეგები კლასში. ამავე საგანში ეწერა და ახლაც წერია, რომ მესამე-მეოთხე კლასის ბავშვს უნდა ასწავლონ ბიუჯეტირების და მეურნეობის საფუძვლები, სამშობლოს სიყვარული, გეოგრაფია, ისტორია და სხვა, – განაცხადა ლევან ვასაძემ.

მისივე შეფასებით, სკოლებში წლიდანწლამდე ნამდვილი აკადემიური განათლების შევიწროვება ხდება, ხოლო ინერგება ისეთი „ვაი საგნები“, როგორიცაა: სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება და ასე შემდეგ.

**ლევან ვასაძე:**

– ამ საგნებისათვის საათები სასწავლო ბადეში ისეთი მნიშვნელოვანი საგნების ხარჯზე შემოდის, როგორიცაა მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სპორტი და სხვა. პრაქტიკულად მოშლილია დამრიგებლის ინსტიტუტი. წლების მანძილზე განათლების სამინისტროს ეგიდით და უცხოელი სპეციალისტების დაფინანსებით ხდება ნამდვილი აკადემიური საგნების მასწავლებლების გადამზადება ამ ფსევდო საგნების სასწავლებლად, მათი სასტუმროებში და უცხოურ კონფერენციებზე გაუთავებელი ტარება და ამ ნიშნით მათი დაწინაურება. ამ დროს არანაირი ყურადღება არ ეთმობა აკადემიურ საგნებს.

**ინტერპრესნიუსი**

# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი დაბა ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში ბონდო გოგიტიძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბონდო გოგიტიძემ მოქალაქეს სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმომავლობის ცნობის დამზადების სანაცვლოდ 2000 აშშ დოლარი ქრთამის სახით გამოართვა.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ერევანი საქართველოს სომეხი მამაკაცების გაფუჭებაში ადანაშაულებს

## ვან ბაიბურთი: „კაცების გადაკოცნა ძველი სომხური ტრადიციაა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ აბრალებს სომეხი ოპოზიციონერი ქართველებს ცუდი ტრადიციის დამკვიდრებას, ილია II-ის რომელ რჩევას ითვალისწინებს ერევანი, როგორ ამღერებს თბილისელი სომეხი აფროამერიკელებს ლოს ანჟელესში სულიკოს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი **ვან ბაიბურთი** ესაუბრება.

***– გასულ კვირას სომხეთის პარლამენტში გამოსვლისას დეპუტატმა არამ მანუკიანმა მოითხოვა, რომ კაცებს ერთმანეთის გადაკოცნა აეკრძალოს. მისი მტკიცებით, სომეხი კაცები ქართველებმა გააფუჭეს, რადგან ეს ტრადიცია სომხეთში საქართველოდან შევიდაო. სხვა ყველაფერზე გვედავებიან და კაცების გადაკოცნაა მაინცდამაინც ქართული ტრადიცია?***



– მე ვთვლი, რომ ეს ტრადიციაც არ არის ქართული, არამ მანუკიანი უფრო კარგად რომ ყოფილიყო საქმეში ჩახედული, ამას არ იტყოდა. არადა განათლებული ადამიანია, წლების მანძილზე სომხეთის რადიოს მთავარი რედაქტორი იყო. მას კარგად ვიცნობ. მის გამოსვლას მეც ვუსმინე და სრული პასუხისმგებლობით გეტყვით, რომ მას სომეხი ისტორიკოსების ნაშრომები და ძირძველი ლიტერატურა წაკითხული არ აქვს.

***– ამით რისი თქმა გინდათ, რომ ეს სომხური ტრადიციაა?***

– რა თქმა უნდა. უკვე გითხარით, რომ მანუკიანი განათლებული კაცია და შესაძლოა მანაც იცოდა ამის შესახებ, მაგრამ არ თქვა. ალბათ იფიქრა, ქართველები ატეხენ ერთ ამბავს, ამ ტრადიციასაც გვართმევენო.

***– არა მგონია, ამის გამო ვინმეს პრეტენზია გამოეთქვა.***

– დიდი ამბები ატყდებოდა. ზოგიერთი იტყოდა, სომხები კოცნასაც გვართმევენო. ქართველები ძალიან განვიცდით, როცა სომხებთან რაღაც სადავო გვაქვს, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია. მთელს ევროპაში ასეა, მეზობელი სახელმწიფოები სულ რაღაცას ედავებიან ერთმანეთს. უნდა ნახოთ, რა ხდება საფრანგეთსა და გერმანიას ან ესპანეთსა და საფრანგეთს შორის.

***– რა ხდება ამისთანა, ფრანგები ისევე ედავებიან ესპანელებს კარმენს, როგორც ჩვენ სომხები დაისს?***

– ფრანგები შესაძლოა ედავებიან ესპანელებს კარმენს, მაგრამ გამორიცხულია, სომხებმა დაისზე გამოთქვან პრეტენზია. ეს ისეთივე გამორიცხულია, როგორც ბორჯომი არ იქნება სომხური მინერალური წყალი.

რამდენიმე წლის წინ ლოს ანჟელესში გამოჩნდა ბორჯომის ბოთლები, რომელზეც წარწერა სომხურად იყო. ამაზე ატყდა ამბავი, არიქა, მეზობლები ბორჯომსაც გვართმევენო.

***– არ იყო წართმევა?***

– არააა!!! ლოს ანჟელესში 600-700 ათასი სომეხი ცხოვრობს, მათ არც ქართული იციან და არც რუსული. ამიტომაც ბორჯომის დისტრიბუტორმა გადაწყვიტა, წარწერა სომხურად გაეკეთებინა.

***– ინგლისურად რომ გაეკეთებინათ წარწერა, ვერც ამას წაიკითხავდნენ?***

– გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, მაგრამ მათ ინგლისურიც არ იციან. ამიტომაც არის იქ მაღაზიები სომხური წარწერებით. სომხური წარწერებია ავტოპროფილაქტიკაზეც, სადაც სომხები და აფროამერიკელები მუშაობენ.

***– ინგლისური თუ არ იციან, აფროამერიკელებს რა ენაზე ესაუბრებიან?***

– სომხურად.

***– ხუმრობთ, ბატონი ვან?***

– არააააააა! ამაზე მაგარი ისტორია უნდა მოვყვე. ლოს ანჟელესში ერთი თბილისელი სომეხიც არის ჩასული. მას პროფილაქტიკა ჰოლივუდში აქვს გახსნილი. თანამშრომლებად აფროამერიკელები ჰყავს. მასთან სტუმრად მივედი და ჩემს საპატივცემულოდ სომხური სიმღერები ამღერა. ისე კარგად იმღერეს „ახ, სირუმ, სირუმ“ და სულიკო, რომ გავგიჟდი.

***– სულიკო სომხური სიმღერაა?***

– საიდან მოიტანეთ? პირველად მესმის თქვენგან. სულიკოზე ხაზგასმით თქვეს, ქართულიაო. საერთოდ, ყველა ჭეშმარიტმა სომეხმა იცის, რომ დაისიც და ყვავილების ქვეყანაც ქართულია.

შესაძლოა, ვიღაცამ რემიქსი გააკეთოს ამ მუსიკის და სომხური სიმღერა იმღეროს, სხვათა შორის, ქართველ მომღერლებსაც გაუქართულებიათ სომხური სიმღერები. უცნობიც ეგრე მოიქცა, სიმღერა რომ გადააკეთა.

***– უცნობმა რომელი სომხური სიმღერა გადააკეთა?***

– სომხური არაა, რუსულია. მზეს ველოდები – ასე ჰქვია ამ სიმღერას. საქართველოს მოსახლეობის 99%-ს ჰგონია, რომ ის ქართულია. სინამდვილეში გადაკეთებულია სიმღერა ფილმიდან „ბანდიტსკი პეტერბურგ“. ზოგ სომეხსაც გარემიქსებული ქართული სიმღერა შესაძლოა ქართული ეგონოს. ეს არის და ეს. ამიტომაც ასეთ რამეებს იუმორით უნდა შევხვდეთ.

***– სახუმარო ამაში რა არის?***

– სახუმარო არ არის, მაგრამ ამას სერიოზულად თუ შევხედავთ, შესაძლოა, დაპირისპირება მოჰყვეს. შოთა რუსთაველის სომეხად გამოცხადების თემაც შეგნებულად არის წამოწეული, რომ ჩვენ დაგვაპირისპირონ ერთმანეთთან.

***– ვინ ვიღაცას, რუსთაველის სომხობაზე სომეხი მეცნიერები არ საუბრობენ?***

– არაააა! ნებისმიერ სომეხს ჰკითხეთ, გეტყვით, რომ რუსთაველი ქართველია. სომეხი რომ ყოფილიყო შოთა, ვეფხისტყაოსანს ქართულად დაწერდა? ეს არის ტყუილად აგორებული ამბავი. ამით ერთი ქვეყანაა დაინტერესებული. ისინი იგონებენ რაღაცებს, რომ ჩვენ ერთმანეთში ვიმტროთ. იგონებენ ასეთ რამეებს და გვიყრიან, როგორც წიწილებს „პშენოს“.

***– საკენკს გულისხმობთ?***

– საკენკია ხო, გვიყრიან ამ საკენკს და მერე გვიყურებენ, როგორ ვძიძგნით ერთმანეთს. ეს იცით, როგორ უხარია ერთ ქვეყანას? მის ინტერესებშია, რომ ჩვენ როგორმე ვიჩხუბოთ.

***– რომელ ქვეყანაზე საუბრობთ?***

– ვისაც ჩვენი ერთმანეთზე გადაკიდება უნდა. მე ვთხოვ ჩემს ქართველებს, რომ ასეთ პროვოკაციებს არ წამოეგონ. კარგი იქნება, თუ ჩვენი უნეტარესის თხოვნასაც გაიზიარებენ.

***– ჩვენს უნეტარესში ვის გულისხმობთ, სომხეთის პატრიარქს?***

– ჩვენს უწმინდეს ილიას. აქ იყვნენ სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ჩამოსული. ისინი საპატრიარქოშიც მივიდნენ და უნეტარესსაც შეხვდნენ. ჩვენმა ილია II-მ მათ მაგარი სიტყვები უთხრა. ამ სიტყვებს მთელი სომხეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ცდილობენ, ამ პრინციპების დაცვით იცხოვრონ.

***– რა სიტყვები უთხრა ილია II-მ სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს?***

– უთხრა, რომ სომხეთი და საქართველო მთელს კავკასიაში ორი ქრისტიანული კუნძულია და ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ. რაღაც უსიამოვნება თუ იქნება, ყველაფერი მოლაპარაკებით უნდა მოვაგვაროთ.

ჩვენს დაპირისპირებას ბევრი ცდილობს და ამიტომაც რაღაც-რაღაცებს არ უნდა ავყვეთ. შესაძლოა, არ მოგვეწონოს, რომ სიმღერაზე თქვან სომხურია, მაგრამ არ უნდა ვიჩხუბოთ.

***– აბა რა ვქნათ, ვიცინოთ? სასაცილოც აღარაა ეს ამბავი.***

– სასაცილო ის იქნება თუ ჩვენ ამ „პშენოს“ ავკენკავთ და სხვა ქვეყანას გავახარებთ დაპირისპირებით.

***– სხვა ქვეყანაო, რამდენჯერმე თქვით და რა შუაშია ვიღაც მესამე, როცა, მაგალითად, სომეხი მეცნიერი კარაპეტიანი ამტკიცებს, საქართველოს ეკლესია – მონასტრების უმეტესობა სომხურიაო.***

– მერე ვინ გითხრათ, რომ კარაპეტიანი მეცნიერია. მაგას არავინ არ სცემს პატივს. მერე რა, რომ თქვა ასეთი რამე, ხვალ არავის არ ემახსოვრება და ნურც თქვენ ისაუბრებთ ამ თემაზე.

***– ვინ გითხრათ, რომ მარტო თქვა. იმხელა რუკა-ცნობარი აქვს გამოცემული რუსულ და ინგლისურ ენაზე.***

– სხვა ენაზეც გამოსცეს თუ უნდა, სომხეთში მას სერიოზულად არავინ აღიქვამს. ამიტომ არც ჩვენ გვინდა სერიოზულობა. გავიღიმოთ და ვიხალისოთ.

***– რაკი ხალისი ახსენეთ, ერთი ამბავი უნდა გაგახსენოთ. თქვენ რამდენიმე წლის წინ გვითხარით, რომ რონალდინიოს ბიცოლა არგენტინელი სომეხია და რონალდინიოს ძალიან უყვარს მისი მომზადებული ტოლმა. ეს გამონათქვამი დღემდე პოპულარულია, ჰოდა, ბიცოლას გვარს ხომ ვერ გვეტყვით?***

– ბიცოლას გვარი არ ვიცი, მაგრამ ახალ ამბავს გეტყვით. რონალდინიოს ძმისშვილი სომეხს გაჰყვა ცოლად. სიძე ახალქალაქიდან არის წარმოშობით. როგორც ამბობენ, პატარძალი ცოტა შავტუხაა, არა უშავს, არც სიძე არ არის თეთრი.

როგორც მეუბნებიან, დიდი ქორწილი გადაიხადეს და მას კიმ კარდაშიანიც ესწრებოდა. ისიც მითხრეს, რომ მათ შეუღლებაში კარდაშიანის თითიც ურევია. ისე ნუ გიკვირთ ხოლმე, რომ ცნობილებს სომხებთან ნათესაური კავშირი აქვს. სომხები მთელ მსოფლიოში არიან მოდებული. შესაძლოა, კიდევ რომელიმე ვარსკვლავის ბიცოლა იყოს სომეხი.

სხვათა შორის, წლების წინ საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრებში 2 სომეხი თამაშობდა. მაშინ საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. არც ვარსკვლავები გვაკლია. არ გამიკვირდება, სხვა ვარსკვლავებსაც რომ ჰქონდეთ სომხური ფესვები.

***– მაგალითად, ვის შეიძლება ჰქონდეს სომხური ფესვი?***

– ძალიან მინდა ასეთი კავშირები მესისთან ვიპოვო, მაგრამ არაფერი გამოდის. მესი სომხურად არაფერს ნიშნავს.

***– არც მისი სახელი გეუბნებათ რამეს?***

– რა ქვია ამ მესის? მითხარით და ვნახოთ.

***– ლიონელი.***

– ეს უკვე საინტერესოა. ლიონში ბევრი სომეხი ცხოვრობს. ეტყობა, ამ მესის მამას რაღაც კავშირი აქვს აქაურობასთან და ამიტომაც დაარქვა შვილს ასეთი სახელი. მესიც ფაქტიურად სომეხია. დიდი მადლობა მინდა გითხრათ „ახალ თაობას“, რომ ასეთი ვარსკვლავი გვაჩუქეთ სომხებს.

# ალა დუდაევა: „მე ძალიან მომწონს მიხეილ სააკაშვილი“

„რადიო სვობოდას“ კორესპონდენტ დიმიტრი ვოლჩეკთან ინტერვიუში, ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის ქვრივი **ალა დუდაევა**, რომელიც დღეს შვედეთში ცხოვრობს, დღევანდელი რუსეთის შესახებ საუბრობს და უარყოფითად აფასებს კრემლის მიერ გატარებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას... ინტერვიუში, რომლის სათაურია „ჩეჩნეთის მეთაურის პოსტი უნდა გაუქმდეს“, იგი ასევე აკრიტიკებს ჩეჩნეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელების საქმიანობას. ალა დუდაევა იხსენებს საქართველოში ყოფნისა და მუშაობის პერიოდსაც.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს ვრცელი ინტერვიუდან.

***– როგორ შეაფასებდით უკრაინაში ბოლო წლებში მომხდარ მოვლენებს?***



– მე მჯერა, რომ უკრაინა ნამდვილად დამოუკიდებელ, სუვერენულ ევროპულ სახელმწიფოდ გადაიქცევა. დიდ იმედებს ვამყარებ უკრაინელ ხალხზე, რადგან უკრაინელები თავიანთი სულისკვეთებით ჩეჩნებს მაგონებენ. გარდა ამისა, მე ძალიან მომწონს მიხეილ სააკაშვილი. მისი პრეზიდენტობის პერიოდში მე საქართველოში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. მიწვეული ვიყავი რუსულენოვან ტელეკომპანიაში – „პირველ საინფორმაციო კავკასიურში“ სამუშაოდ 2009-2011 წლებში. მე პირადად მიხეილ სააკაშვილის ახალგაზრდული მთავრობის რეფორმატორული საქმიანობის მოწმე გახლავართ.

***– რატომ გადაწყვიტეთ საქართველოდან წასვლა?***



– იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის პრორუსული მთავრობა მოვიდა. ტელეარხი, რომელშიც ვმუშაობდი, დაიხურა, დაიწყო თვით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დევნა. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ციხეში ჩასვეს. იმ დროს ძალიან ბევრი ადამიანი იძულებული გახდა საქართველოდან გაქცეულიყო. ახლა თითქოს სიტუაცია უმჯობესდება...

***– ვერ ვიტყვით, რომ საქართველო დღეს პრორუსულ პოლიტიკას ატარებს. თბილისის საგარეო პოლიტიკა თითქმის იგივეა, როგორც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რუსეთის მიმართ მწვავე რიტორიკამ იკლო...***

– იცით, რატომ? იმიტომ, რომ ახლა საქართველოში ისეთი პრეზიდენტია, რომლითაც ბიძინა ივანიშვილის ხალხი უკმაყოფილოა. დღეს ყოფილ პრეზიდენტს თავს ესხმიან, აკრიტიკებენ, მე კი მინდა რადიომსმენელებს მიხეილ სააკაშვილის კაი-კაცობაზე მოვუყვე, რისი მომსწრეც პირადად ვარ. საქართველოში პირველად 1999 წელს ჩავედი, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის ჟამს. იძულებული ვიყავი ჩეჩნეთიდან გავქცეულიყავი და თავი საქართველოსთვის შემეფარებინა. იმ დროს საქართველო სიბნელის სამეფოს წარმოადგენდა: ელექტროდენი არ იყო, გამეფებული იყო სიღარიბე და უმუშევრობა, 8-ლარიანი პენსია... მეორედ 10 წლის შემდეგ ვეწვიე და ქვეყანა ველარ ვიცანი – ყველაფერი სასიკეთოდ იყო შეცვლილი...

(ალა დუდაევა აღტაცებით საუბრობს მიხეილ სააკაშვილის საქმიანობაზე: „მან ხალხს სინათლე მიაწოდა, სოფლები და ქალაქები ააყვავა, ევროპულს დაამგვანა, ააშენა გზები, დაამშვენა კურორტები, გაზარდა პენსიები, ხელფასები, მოსპო კორუფცია და მექრთამეობა, ხელი შეუწყო ბიზნესის განვითარებას, გახსნა საზღვარი რუსეთთან, დააწესა უვიზო რეჟიმი... ისეთი ბედნიერი გარემო შექმნა, რომ მოსახლეობა დღე და ღამე სეირნობდა და ხარობდა... ააშენა მინის ხიდები, პოლიციის გამჭვირვალე შენობები, აღადგინა ისტორიული ქალაქები, განსაკუთრებით თბილისი... საქართველო კავკასიური კულტურის ცენტრად გადააქცია: თბილისში ტარდებოდა გამოფენები, კონფერენციები, საერთაშორისო შეხვედრები... აი, ასეთი პატიოსანი და კეთილი იყო მიხეილ სააკაშვილი...“ – მთარგმნელის შენიშვნა).

ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოსახლეობას იგივე აღუთქვა, მაგრამ მან დანაპირები არ შეასრულა.

***– მიხეილ სააკაშვილი ოდესაშიც ცდილობს რეფორმების გატარებას...***

– მასთან კონტაქტები არ მაქვს, მაგრამ თვალს ყველაფერს ყურადღებით ვადევნებ.

***– ვხედავ, რომ თბილისი ძალიან მოგენატრათ. დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?***

– ვფიქრობ, რომ სამომავლოდ საქართველოში ჩავალ და საერთოდ, კავკასიას ვეწვევი. მე ევროპაც ძალიან მომწონს, გაკვირვებული ვარ ევროპელების სიკეთითა და გულმოწყალებით მუსულმანი ლტოლვილების მიმართ.

**ნიუსპრესი**

# გელა ნიკოლაიშვილი: „კოალიციის პარტიებს ცალ-ცალკე შანსი არ აქვთ“

## „არჩევანი ისევ ცუდსა და უარესს შორის უნდა გავაკეთოთ“

ნონა ცაბაძე





ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ და სამართლებრივ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** აფასებს.

იურისტს გადაჭარბებულად მიაჩნია განცხადებები იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში კრიმინალმა იმატა.

– ბოლო სტატისტიკას მე არ ვიცნობ, მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე, ვერ ვატყობ, რომ დანაშაულმა იმატა. ეს უფრო, როგორც ბოლო პერიოდის ტრადიციად იქცა, ხელოვნურად ატეხილი აჟიოტაჟია.

***– არ არის ამ მხრივ მძიმე ვითარება?***

– კრიმინალი ყოველდღე ხდება, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი მატება ან კლება ყოფილიყოს, მე ამის თქმა არ შემიძლია. როგორც ჩანს, პეტრიაშვილზე განხორციელებულმა ფაქტმა გამოიწვია ამხელა აჟიოტაჟი. ეს პოლიტიკოსების ბუნებაა, რომ ყველა ასეთი შემთხვევა გამოიყენონ კონკრეტული მიზნებისთვის.

***– ხედავთ ამაში პოლიტიკურ მოტივს?***

– პირადად მე ვერა და ვერც ეს პოლიტიკოსები ასახელებენ, რომ აქ რაღაცა პოლიტიკური მოტივი იყო. ძირითადად პირადულ მოტივებზე გადააქვთ აქცენტი. თუმცა ცნობადი სახის მიმართ ჩადენილი ასეთი დანაშაული, დღისით, მზისით, ბუნებრივადაც იწვევს ამ აჟიოტაჟს.

***– შეძლებენ დროულ გამოძიებას?***

– თუ არ მოხდა ამ საქმის დროული გამოძიება, აჟიოტაჟი კიდევ გაგრძელდება და ეს იქნება კარგი საკვები იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურს წარმოაჩინოს, რომ კრიმინოგენური სიტუაცია გაზრდილია და ხელისუფლება ვერ ხსნის დანაშაულს.

***– ოპონენტები იმაზეც საუბრობენ, რომ დანაშაულის წახალისება ხდება. ასეა?***

– ცნობილი მოდელი შექმნეს, მოდელირებული რეალობა, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის ქურდებთან შეკრული და კრიმინალურ სამყაროსთან დაახლოებული. ამ მიმართულებით ნაციონალებს საკვები მიეცემათ.

***– რამდენად არის იმის საფრთხე, რომ წინასაარჩევნოდ კიდევ უფრო დაიძაბოს ვითარება?***

– ზოგადად ეს რომ აწყობს ნაციონალებს, ფაქტია. ეს საკითხი მეშახტეების გაფიცვის დროსაც გამოიკვეთა.

***– რა გამოიკვეთა?***

– მათთვის კონსტრუქციული პოზიცია არავის შეუთავაზებია, თავად ნაციონალები კი ამბობენ, რომ ხელისუფლება ვერ იცავს ვერც მესაკუთრის ინტერესებს და ვერც – დასაქმებულის. როდესაც გაფიცულები შეიჭრნენ და დააზიანეს კერძო ქონება, ერთი მხარის სასარგებლოდ რომ დაეფიქსირებინათ პოზიცია, მეორე მხარისთვის უნდა ეწყენინებინათ. ამიტომ ასე გამოუვიდათ: მესაკუთრეც მართალია, დასაქმებულიც მართალია და ყველაზე მტყუანი არის ხელისუფლება.

***– რა როლი აქვს ამ ყველაფერში ხელისუფლებას?***

– ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როდესაც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არის დავა და აქ ხელისუფლებას ყველაზე ნაკლებად აქვს ჩარევის უფლება.

***– რამდენად არის ეს აქცია მართული?***

– მე ვერ ვიტყვი, რომ ყველა მოვლენის და პროტესტის უკან ნაციონალური მოძრაობა დგას, მაგრამ ისინი ყველა მსგავს ფაქტს და მოვლენას ხელს შეუწყობენ და შეეცდებიან, თავის სასარგებლოდ გამოიყენონ.

***– დღითიდღე იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვინც უკმაყოფილოა ხელისუფლების საქმიანობით. ითქვა ისიც, რომ არ არის გამორიცხული, ამომრჩევლის ეს კატეგორია მართული გახდეს. თქვენ თუ ხედავთ ამის საფრთხეს?***

– ეს სავსებით რეალურია. როდესაც სოციალური უკმაყოფილებაა და სოციალურ მოტივებზე დაიწყო გამოსვლები, რაც ქართული რეალობისთვის არ იყო დამახასიათებელი, ვინც უფრო მემარცხენე ლოზუნგებს გადმოაფრქვევს და იტყვის, რომ წავართვათ მდიდრებს და მივცეთ ღარიბებს, ის მოიპოვებს პოპულარობას.

***– ამ პროცესმა რამდენად სახიფათო და უმართავი სახე შეიძლება მიიღოს?***

– ამის გაძლიერებასაც და გამოყენებასაც ხელს შეუწყობენ არა მხოლოდ ნაციონალები, არამედ მემარცხენული ორიენტაციის პარტიები, თუნდაც ლეიბორისტები, ეს ლოზუნგები ხომ მათია. აქედან გამომდინარე, ამ ტალღის გაძლიერებას და წახალისებას უნდა ველოდოთ არჩევნებამდე.

***– რამდენად შეიძლება გამწვავდეს წინასაარჩევნოდ ვითარება, როდესაც ხელისუფლება არაპოპულარულია საზოგადოებაში? მოიაზრება ისეთი ძალა, ვინც ხელისუფლებას ჩაანაცვლებს?***

– მართალია, ხელისუფლება არაპოპულარულია, მაგრამ დღეს ხელისუფლებაზე პოპულარული ძალა არ არსებობს. გვყავს არაპოპულარული ხელისუფლება და უფრო არაპოპულარული ოპოზიცია. როგორც ჩანს, მივიღებთ ჭრელ პარლამენტს, სადაც უმრავლესობა მაჟორიტარების ხარჯზე ეყოლება ისევ „ქართულ ოცნებას“.

***– ანუ არჩევანი უნდა გავაკეთოთ ცუდსა და უარესს შორის?***

– სამწუხაროდ, ეს ჩვენ დაგვებედა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია რეალობა, არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. უფრო ხშირად უარესს ირჩევენ ხოლმე და იმედია, ახლა მაინც არ მოხდება ასე. შესაძლოა, რაღაცები გამოიკვეთოს, ახალი გადალაგება და ახალი კონფიგურაცია პოლიტიკურ ველზე და ეს გადაჯგუფებები იქნება საინტერესო.

***– გადაჯგუფებას რომელ ძალებში გულისხმობთ?***

– ის ძალები, რომლებიც კოალიციის მიღმა დარჩებიან, შეეცდებიან, დაჯგუფდნენ და გაძლიერდნენ. ცალ-ცალკე მათ შანსი არ აქვთ.

***– არც კოალიციაშია დალაგებული სიტუაცია. ვხედავთ, როგორი დაპირისპირებაა შიგნით. ეს მათ არ აზარალებს? რა ფორმით მივლენ არჩევნებამდე?***

– ყველა შეეცდება, დარჩეს კოალიციაში, იმიტომ, რომ ცალკე გასვლის შემთხვევაში, მაქსიმუმ, იბრძოლონ ზღვრის გადასალახავად და ეს არაფერს ნიშნავს.

***– საუბარია, რომ ნაციონალები დაძაბავენ სიტუაციას, თუნდაც იგივე კრიმინოგენური თვალსაზრისით. ხედავთ ამის საფრთხეს?***

– ნაციონალებს თავისი 10%-იანი მხარდაჭერა სტაბილურად აქვთ. ეს მხარდაჭერა მასობრივი არეულობის მოსაწყობად არასაკმარისია, თუმცა ლოკალური, ადგილობრივი კრიზისების შესაქმნელად საკმარისია. მით უმეტეს იმ კრიმინალური ელემენტების გარეთ ყოფნის ფონზე, რომლებსაც მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდათ თავის დროზე ნაციონალებთან.

ფართო არეულობას არ ველოდები ქვეყნის მასშტაბით, თუმცა პატარ-პატარა კრიზისები სავსებით რეალურია. წინასაარჩევნო პერიოდია და ეს თავისთავად დაძაბული პერიოდია.

# ანზორ წოწონავა: „უმაღლესებიდან გარიცხული ახალგაზრდები ციხეში ხვდებიან“

## „საქართველოს პარლამენტმა სასწრაფოდ უნდა მიიღოს ეკონომიკური ბლოკის კანონები“

მარიამ მჭედლიშვილი



აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა მიიღო და აამოქმედა სანქციები თურქეთის წინააღმდეგ. ექსპერტების გათვლით, ეს სერიოზულად აზარალებს აფხაზეთის ეკონომიკას. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ აფხაზეთის ეკონომიკა არ არსებობს.

**ანზორ წოწონავა:**

– აფხაზეთის ეკონომიკაც ისეთივე ბუტაფორიაა, როგორც აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა. როცა ეკონომიკა არ არსებობს, იმას ზიანიც ვერ მიადგება. ეს სანქციები რუსეთ-თურქეთის კონფლიქტს მოჰყვა. რუსეთისა და თურქეთის იმპერიების დაპირისპირებას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ახლა ამას დაემატა გეოპოლიტიკური ფაქტორი. საერთოდ, ძალიან დაძაბულია ვითრება მთელ მსოფლიოში. აფხაზეთი კი რუსეთს ბუფერულ ზონად სჭირდება. აფხაზეთი მთლიანად რუსეთზეა მიბმული. არანაირი წარმოება იქ არ არსებობს. თურქი ბიზნესმენების შევიწროება ნამდვილად მიმდინარეობს.

***– თურქულ კომპანიებს გარკვეული თანხა შეჰქონდათ აფხაზეთის ბიუჯეტში. მაგალითად, თევზის რეწვით დაკავებულ ორგანიზაციებს.***

– თევზს ადრე მოჰქონდა შემოსავალი აფხაზეთისათვის. მერე თევზი შემცირდა. თურქული კომპანიებისგან შემოსავალი დიდი არ იყო. ისინი ეკოლოგიურ ნორმებსაც არღვევდნენ. აფხაზეთში ქვანახშირის მოპოვებაც გაჩერებულია და სურსათის წარმოებაც. ხალხის სოციალური მდგომარეობა მძიმეა.

***– აფხაზეთიდან დევნილების უმრავლესობის მდგომარეობაც არ არის სახარბიელო.***

– რა თქმა უნდა! მე ამ ხალხს თითქმის ყოველდღე ვხვდები. ბოლო დროს საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა იმის გამო, რომ სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლებიდან გარიცხეს, ასევე კრედიტების მიზეზით.

***– მხედველობაში გყავთ ახალგაზრდები, რომლებსაც სტუდენტის სტატუსი შეუჩერდათ?***

– ვსაუბრობ გარიცხულებზე– სტატუსშეჩერებულების 80 % გაირიცხა. საშინელება ისაა, რომ გარიცხვის მიზეზი გახდა სწავლის თანხის გადაუხდელობა. 2011-2012 წლებში 400-ზე მეტი აფხაზეთიდან დევნილი გააძევეს უმაღლესი სასწავლებლებიდან. ამაზე საშინელებაა ის, რომ მათი დიდი ნაწილი ციხეში მოხვდა.

***– თუ უფულობის გამო გარიცხული სტუდენტების ციხეში მოხვედრამ ტენდენციის სახე მიიღო, -ეს სერიოზული სიგნალი უნდა გახდეს ხელისუფლებისათვის..***

– სერიოზული სიგნალი უნდა იყოს ყველასთვის თვითმკვლელობების რიცხვის ზრდაც. თვითმკვლელების ასაკი 50 წლამდეა. მათგან უმრავლესობას კრედიტი ჰქონდა აღებული ბანკებში ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში. ასეთი ვალები მარტო აფხაზეთიდან დევნილების პრობლემა არ არის. ამიტომ, საჭიროა სიტუაციის გამოსწორება.

მე, როგორც იურისტი და დეპუტატი 23-წლიანი სტაჟით, მოვუწოდებ ხელისუფლებას, მიიღოს ზომები. პარლამენტს მისაღები აქვს სპეციალური კანონები. მთლიანობაში, ეკონომიკური ბლოკის კანონმდებლობაში დიდი ჩავარდნა გვაქვს. დასარეგულირებელია საბანკო სისტემა, კრედიტების აღების წესები. უამრავი ადამიანი საქართველოში გაება საკრედიტო მახეში. ადამიანებმა ამის გამო დაკარგეს ბინები, ზოგი ამას შეეწირა. ბანკები კი მდიდრდებიან.

თითქმის მთელი აშშ კრედიტებზე ცხოვრობს, მაგრამ იქ ამის გამო სიცოცხლეს თვითმკვლელობით არ ასრულებენ. ჩვენც უნდა ვიზრუნოთ ჩვენს მოქალაქეებზე! დევნილებს გასვლის უფლებაც შეზღუდული აქვთ.

***– სხვა სახელმწიფოებში წასვლის უფლება?***

– დიახ. მაგალითად, თუ აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის წევრი უკრაინაში, ან სხვაგან წავა სამუშაოდ, ოჯახს შემწეობას უწყვეტენ. ოჯახების სოციალურ მდგომარეობას ახლა ახლებურად აფასებენ. ამის გამო გაუარესდა ბევრი პირის მდგომარეობა. ეს ის საკითხებია, რომელზე ხელისუფლებამაც უნდა იფიქროს და ოპოზიციამაც. ოპოზიციამ პრობლემებზე უნდა იხმაუროს და არა – სამი ხის გადარგვაზე.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ტყიბულში მოლაპარაკება შედგა

## პრემიერის მიერ გაგზავნილმა გიორგი გახარიამ მხარეები მოარიგა

გუშინ, 29 თებერვალს, ტყიბულში გაფიცულ მაღაროელებთან პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილის დავალებით ბიზნესობუდსმენი, გიორგი გახარია ჩავიდა.

მეშახტეებისთვის ეს ნამდვილად იყო სინათლე გვირაბის ბოლოს, რადგან მანამდე მათი რამდენიმედღიანი გაფიცვა უშედეგო იყო, „საქნახშირის“ ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა თანამშრომლების მოთხოვნები.

500-მა უიმედოდ გაფიცულმა მეშახტემ კვირიკაშვილს მიმართა.

წერილში შპს „საქნახშირის“ ტყიბულის ნახშირმომპოვებელი საწარმოს მაღაროელები ითხოვენ, დაუყოვნებლივ აღსრულდეს კომპანიასა და პროფკავშირს შორის 2011 წლის 3 თებერვალს დადებული შეთანხმების შეუსრულებელი პუნქტი.

კერძოდ, 2011, 2012, 2013, 2014 და 2015 წლებში საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ინდექსაციის მაჩვენებლების შესაბამისად მოხდეს ხელფასების ინდექსაცია, რაც საერთო ჯამში შეადგენს 14,2%-ს.

2011 წელს კომპანიასა და პროფკავშირებს შორის გაფორმებული შეთანხმების დანარჩენ შეუსრულებელ პუნქტებთან (მათ შორის კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება), მაღაროელთა დანარჩენ საგაფიცვო მოთხოვნებთან და კომპანიის ადმინისტრაციის მიერ 2016 წლის თებერვლის მიმდინარე გაფიცვის დროს გაკეთებულ სხვა შემოთავაზებებთან დაკავშირებით, მოხდეს შეთანხმებაზე მხარეთა ხელმოწერების განახლება და მათი შესრულება გაიწეროს ეტაპობრივად, მხარეთა მიერ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად.

საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, პრემიერმა „ქართული ოცნების“ ფრაქციის სხდომაზე განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოიძებნოს პრობლემის მოგვარების გზები. გაფიცულ მეშახტეებთან მოსალაპარაკებლად მან ბიზნესომბუდსმენი მიავლინა.

* * *

შეგახსენებთ, რომ მოვლენები შემდეგი სცენარით განვითარდა:



მაღაროელები გაიფიცნენ ხელფასის მომატების მოთხოვნით. აღნიშნავდნენ, რომ მიზერული ხელფასის გამო იძულებული გახდნენ, შეეწყვიტათ მუშაობა და უკიდურესი ზომებისთვის მიემართათ.

შიმშილობის მე-17 დღეს საგაფიცვო კომიტეტმა გაავრცელა განცხადება:

– ტყიბულის გაფიცვის მონაწილეებს გვსურს კიდევ ერთხელ მივმართოთ საზოგადოებას ტყიბულში განვითარებული მოვლენების შესახებ. უკვე მეჩვიდმეტე დღეა, გაფიცვა გრძელდება.

კომპანია კვლავ არ მიდის დათმობაზე. მეტიც, ის გვემუქრება შახტის გარკვეული უბნების კონსერვაციით, სახელმწიფო კი კვლავ ვერ დგამს ქმედით ნაბიჯებს სიტუაციის გამოსასწორებლად. გაძლიერდა ზეწოლა როგორც მეშახტეებზე, ისე ქალაქის მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს გაფიცულებს.

მივმართავთ ჭიათურას, ზესტაფონს, ქსანს, რუსთავს, სხვა ინდუსტრიულ ქალაქებს და მთელ საქართველოს. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა მეშახტეების გვერდით დგომა. უმორჩილესად გთხოვთ, რეგულარულად გააკეთოთ გაფიცვის მონაწილეთა მოთხოვნების მხარდამჭერი განცხადებები, გამართოთ სოლიდარობის აქციები თქვენს ქალაქებში.

ჩვენ, ტყიბულის მეშახტეთა საგაფიცვო კომიტეტი და მთლიანად, გაფიცული მეშახტეები, არ ვაპირებთ უკან დახევას. თითქმის ყოველდღე იმართება მოლაპარაკებები, რომლებიც არ სრულდება არავითარი შედეგით. შეგახსენებთ, რომ ის 40%, რასაც გაფიცულები ვითხოვთ, მინიმუმია ხალხისთვის, კომპანიისთვის კი მაქსიმუმი კვლავ 5%-ს შეადგენს.

ჩვენ ყველანაირად ვცდილობდით, თავიდან აგვეცილებინა სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა, თუმცა, მიმდინარე პროცესები არ გვაძლევს საშუალებას, მშვიდად შევხედოთ ამ მდგომარეობას.

თუ მთავრობას არ უნდა მიიღოს სოციალური აფეთქება, გადადგან რეალური და ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეშახტეების, მშრომელი ხალხის სამართლიან მოთხოვნებზე და არა ბიზნესის ინტერესებზე.

ტყიბულელების ბრძოლა არ დაწყებულა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის თუ პოლიტიკური ძალის მიერ, მათ შორის, არც პროფკავშირების მიერ. ეს ბრძოლა ამოიზარდა პატიოსანი მშრომელი ხალხის შუაგულიდან, მონური პირობებიდან განთავისუფლებისა და ღირსეული ცხოვრების იმედის საფუძველზე. ეს ხალხის მოძრაობაა და ჩვენ არავის მივცემთ ამ პროცესების გამოყენების უფლებას პარტიული მანიპულაციებისათვის.

შეგახსენებთ, რომ ბრძოლა ტყიბულისთვის ნიშნავს ბრძოლას დანარჩენი საქართველოსთვის, ჩვენი საერთო მომავლისათვის. ამ ბრძოლით დღეს წყდება იმ ქალაქების ბედი, რომლებიც მშრომელი ხალხის ზურგზე დგას. ტყიბულის დამარცხება ყოველი ჩვენგანის დამარცხებაა, გამარჯვება კი მხოლოდ ერთობლივი ბრძოლით მიიღწევა.



გიორგი გახარია

ტყიბულის მეშახტეთა საგაფიცვო კომიტეტი ვაცხადებთ, რომ ვდგავართ ისტორიული ფრონტის წინა ხაზზე ღირსებისთვის და სამართლიანობისთვის ბრძოლაში. ჩვენ ვიბრძვით ნორმად ქცეული ჩაგვრის წინააღმდეგ, რაც ჩვენი და ჩვენი თანაქალაქელების ყოველდღიურობაა. ამით ჩვენ ვამარცხებთ მოჩვენებით სიმშვიდეს, რომელიც მეშახტეთა ხმამ დაარღვია, რადგან სიმშვიდე არ მიიღწევა იქამდე, სანამ არ დამყარდება სამართლიანობა.

* * *

როგორც ეკონომიკური ექსპერტი ალექსანდრე თვალჭრელიძე აცხადებს, პრობლემის გადასაჭრელად ახლებური მიდგომაა საჭირო.

ალექსანდრე თვალჭრელიძე:

– ტყიბული-შაორის ველსა და ტყიბულის მაღაროს პრინციპულად ახლებური მართვა და ახალი ბიზნეს-მოდელები სჭირდება. მას ნოვატორი მენეჯერი თუ გადაარჩენს. პარადოქსია, მაგრამ ნახშირის არც ერთი მსხვილი მომპოვებელი კომპანია ნახშირზე ფასების ვარდნის გამო არ დაზარალებულა, პირიქით, ზემოგებაც კი მიიღო.

ნახშირის ექსპორტის გარდა, ისინი ელექტროენერგიას აწარმოებენ და ნახშირზე ფასის დაცემა მათ ენერგიას აიაფებს. იგივე ტყიბულზეც უნდა გაკეთდეს.

შესაძლებელია, აგრეთვე, ნახშირის მიწისქვეშა წვის მოდელის გამოყენება ან ნახშირისშემცველი ქვიშაქვებიდან რკინის მადნის მოპოვება. ცოტა არაა, 230 მილიონი ტონაა.

მოკლედ, ტყიბულის მართვას პროფესიონალიზმი აკლია. ხოლო თუ საქმე ძველებურად გაგრძელდა, ტყიბულს ვეღარაფერი გადაარჩენს. სხვათა შორის, იგივე ჭიათურაზეც შეიძლება ითქვას.

* * *

მთავრობის მიერ ჩატარებული და გეგმით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით, ტყიბულის განვითარების გეგმა შემდეგნაირად გამოიყურება:

შეიქმნა 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი; შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში დაფინანსდა 4 საწარმო; მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტით დამუშავდა 1.954. 31 ჰა; მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში დაფინანსდა 8 საწარმო.

იწყება თბოელექტროსადგურის მშენებლობა; გამრიცხველიანდა 2.756 აბონენტი; მიმდინარეობს გაზიფიკაცია; ბუნებრივ აირს მიიღებს 5.000 აბონენტი.

სოფელ ხრესილში მოეწყო სამედიცინო ამბულატორია; მუნიციპალიტეტს გადაეცა ორი ახალი მაღალი გამავლობის მანქანა.

მიმდინარეობს სპორტის სასახლის რეაბილიტაცია; მოეწყო საცურაო აუზი; გადაიხურა მრავალსართულიანი სახლები, მიმდინარეობს ლიფტების რეაბილიტაციის პროცესი.

ეს ის მცირე ჩამონათვალია, რაც ტყიბულში კეთდება.

გუშინ, დღის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ პრემიერის მიერ გაგზავნილი ბიზნესომბუდსმენის, გიორგი გახარიას ტყიბულში ჩასვლა ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან მხარეებს შორის მიუღწეველი მოლაპარაკება შედგა.

და კიდევ ერთი, გიორგი კვირიკაშვილის მოთხოვნით, 2016 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევა, რაც ტყიბულელ მეშახტეებსაც შეეხება.




# ალეკო ელისაშვილი: „ბესელიასგან განსხვავებით, პატიმრების დანახვაზე დოლარები არ მელანდებოდა“

– ბესელიასგან განსხვავებით, პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს რომ ვხედავდი, დოლარები არ მელანდებოდა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა განუცხადა, რომელიც მისი მისამართით ადამიანის უფლებების დაცვის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებას გამოეხმაურა.

ელისაშვილი „ქართულ ოცნებას“ ეკა ბესელიას „დაოკებას“ ურჩევს.

**ალეკო ელისაშვილი:**



– რაც ბესელიამ განაცხადა, ეს არის სრული ბოდვა. მე ბესელიასგან განსხვავებით, პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს რომ ვხედავდი, დოლარები არ მელანდებოდა. ბესელიას ცხოვრების წესია, რომ პატიმრებს აუცილებლად უნდა გამოძალოს ფული, თორემ, ღმერთია მოწმე, ასევე უშიშროების სამსახური, რომელიც მაშინ მითვალთვალებდა, რომ მე შეწყალების კომისიიდან ხელფასი, დაგლეჯილი ნერვები და ერთი პატარა ხატი წამოვიღე.

საკუთარ სინდისთან, ღმერთთან და ჩემს ქვეყანასთან მართალი ვარ. მსგავსი არაფერი მომხდარა.

მისი თქმით, პრობლემა იმაშია, რომ „ქართულ ოცნებას“ ბესელია „ქართულ კორუფციულ ჭაობად გარდაქმნის“.

– იქნებ დააშოშმინონ ეს ადამიანი, რადგან თავისი გაღმით შედავების პოლიტიკით, ისევ საკუთარ პოლიტიკურ გუნდს აზიანებს. მე ვერაფერს დამაკლებს, იმიტომ, რომ ამას შემდეგი ნაბიჯები ხომ უნდა მოჰყვეს?! უნდა თქვან, ის პატიმარი და მისი ადვოკატი ვინ არიან და ძალიან მარტივად გაირკვევა ყველაფერი – იყო თუ არა ჩემთან შეხვედრაზე მოსული. ისევ დაზარალდება „ქართული ოცნება“ ბესელიას მეშვეობით. იქნებ ცოტა სიბრძნე გამოიჩინონ და ეს ქალი დააოკონ, – განაცხადა ელისაშვილმა და დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა ბესელიას განცხადებით დაინტერესდება, მზად არის გამოძიებასთან ითანამშრომლოს.



ამასთან, ეკა ბესელიას დღევანდელ განცხადებას შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ადვოკატ კობა კობახიძის „გამოჩენას“ უკავშირებს.

– როგორც ჩანს, ბესელია მიხვდა, რომ ბოლო დროს ადვოკატ კობა კობახიძის გამოჩენით მათი პოზიცია ძალიან შეირყა. პიარულად მოიფიქრეს და კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას ინფორმაციით, არსებობს კონკრეტული პატიმრის წერილი, სადაც ის აცხადებს, რომ ალეკო ელისაშვილმა შეწყალების კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას, მის ადვოკატს მოსთხოვა 50 ათასი ლარი დადებითი რეკომენდაციის სანაცვლოდ.

როგორც ეკა ბესელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, პატიმრის ეს წერილი მის კომიტეტში შევიდა და ის ითხოვს რეაგირებას.

**ინტერპრესნიუსი**

# ზაზა ხატიაშვილი ევა გოცირიძის წინააღმდეგ

## „თუ ევა გოცირიძეს ევრომოსამართლედ წარადგენენ, შიმშილობას დავიწყებ“

გულიკო ბალაძე

**თუ მთავრობა იუსტიციის საბჭოს წევრ ევა გოცირიძეს ევრომოსამართლეობის კანდიდატად წარადგენს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ევროპის საბჭოს ასამბლეის ცენტრალური ოფისის წინ შიმშილობას დაიწყებს.**

ევა გოცირიძე ბოლოა ევრომოსამართლეობისთვის გამართული კონკურსის შედეგებით. მთავრობამ კი სამი კანდიდატი უნდა წარადგინოს.

სამთავრობო კომისიამ, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციებიც შედიოდნენ, სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის მსურველთა ხუთეული შეარჩია.

გასაუბრებები იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა.

კომისიამ გასაუბრების შედეგად, ქულათა ჯამით შეარჩია: ალექსანდრე ბარამიძე, ნანა მჭედლიძე, გიორგი ბადაშვილი, ანა დოლიძე და ევა გოცირიძე.

ევრომოსამართლეს ევროპის საბჭო 2016 წლის შემოდგომაზე აირჩევს.

შერჩეული 5 კანდიდატიდან ყველაზე ცუდი შედეგი ევა გოცირიძემ აჩვენა, რაც საქართველოს სახალხო დამცველმაც აღნიშნა.

– ევა გოცირიძე ვერ აკმაყოფილებდა შესაბამისად გარკვეულ კრიტერიუმებს, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

კითხვები იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მის მუშაობასთან დაკავშირებით და მის როლზე ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

– გვქონდა მოლოდინი, რომ საბჭო გაცილებით უფრო ეფექტური იქნებოდა იმისთვის, რომ ამდენი კითხვის ნიშნები არ ყოფილიყო მოსამართლეთა დაწინაურების თუ დანიშვნის პროცესთან დაკავშირებით, – განაცხადა სახალხო დამცველმა.



კომისიაში შედიოდა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილიც.

***– ბატონო ზაზა, ევრომოსამართლეობის შერჩევის პროცესში როგორი ტენდენცია გამოიხატა?***

– ძალიან კარგი ტენდენცია გამოიხატა. ევრომოსამართლეობის შერჩევის პროცესი უპრეცედენტო იყო..

***– პირველ სამეულში ალექსანდრე ბარამიძე, ნანა მჭედლიძე და გიორგი ბადაშვილი არიან. გიორგი ბადაშვილი ყოფილი მთავარი პროკურორია?***

– არა, ეს სხვა პიროვნებაა, ევროსასამართლოში მუშაობს. ძალიან მაგარი სამეულია. თუ საქართველოს ხელისუფლება მეხუთე ადგილზე გასულ ევა გოცირიძეს წარადგენს პირველ სამეულში, ეს იქნება ხელისუფლების აღიარება, რომ მურუსიძეების ხელში დგება.

***– სია წარმოდგენილია ქულების მიხედვით?***

– დიახ. ევა გოცირიძე ქულებით მეხუთე ადგილზე გამოვიდა. ევა გოცირიძის გამოსვლა არ მომეწონა. მას კითხვა დავუსვი ლევან მურუსიძესთან დაკავშირებით. თუ ის აცხადებდა, რომ მურუსიძე იყო ცუდი და საზოგადოებისთვის მიუღებელი კანდიდატი, რატომ მისცა ხმა. მან განაცხადა, რომ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო. როდესაც ადამიანი გასაუბრების დროს აცხადებს, რომ კომპრომისულ გადაწყვეტილებას იღებს, ერთ ქულაზე მეტი არ ეკუთვნის, ხელისუფლების წარმომადგენლებს მისთვის ხუთი ქულა არ უნდა მიეცათ. ეს დიდი შეცდომა იყო.

***– ევა გოცირიძეს ალბათ მიაჩნია, რომ თუ მისი მეუღლე მინდია უგრეხელიძე იმსახურებდა ევრომოსამართლეობას, რომლის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობისას ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული სასამართლო ხელისუფლებაში, მასაც ეკუთვნის ევრომოსამართლეობა.***

– მაშინ კომისიის წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ თუ ახლა მთავრობის მიერ წარდგენილ 3 კანდიდატში ევა გოცირიძე მოხვდება, მე აუცილებლად ვიშიმშილებ ევროპის საბჭოს ასამბლეის ცენტრალური ოფისის წინ.

***– ევა გოცირიძე არ აკმაყოფილებს ევრომოსამართლეობის კრიტერიუმებს?***

– ჩემი შეფასებით, ევა გოცირიძე არ აკმაყოფილებს ევრომოსამართლის მაღალ ზნეობრივ და მორალურ კრიტერიუმებს.

***– როგორც მახსოვს, ევა გოცირიძემ როცა ლევან მურუსიძეს ხმა მისცა, განმარტა, თუ მურუსიძეს ხმას არ მივცემდით, მოსამართლეების ამბოხი იყო მოსალოდნელიო.***

– არა, ეგ არ უთქვამს.

***– დაახლოებით ეს თქვა.***

– ევა გოცირიძემ თქვა, რომ მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება, თუ მას ხმას არ მივცემდი, სხვა ღირსეულ კანდიდატებს საბჭოს მოსამართლე წევრები ხმას არ მისცემდნენო, რაც იუსტიციის საბჭოსგან მოსამართლეთა გაუცხოებას გამოიწვევდაო. ასეთი პასუხი გამცა ევა გოცირიძემ მეც. ამიტომ ვსვამ კითხვას, ადამიანი, რომელიც კომპრომისებზე მიდის, შეიძლება ევრომოსამართლე იყოს?

***– ევა გოცირიძეს ხომ არ შეპირდნენ, რომ ევროსასამართლოში თუ არა, საქართველოში***



***მოსამართლედ მაინც დანიშნავენ?***

– საქართველოში უნდა მოვიდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც გამოიძიებს ევა გოცირიძისა და საბჭოს სხვა წევრების მხრიდან მურუსიძისთვის ხმის მიცემის პროცედურებს. როცა ადამიანი აცხადებს, რომ ის შევიდა გარიგებაში იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებთან, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. ეს არის თანამდებობის ბოროტად გამოყენება.

***– ამას ალბათ კიდევ დამტკიცება სჭირდება. პროკურატურამ თუ დაიწყო გამოძიება?***

– პროკურატურამ ეფექტური გამოძიება უნდა ჩაატაროს, ადამიანი აღიარებს, რომ მოსამართლე წევრებთან შევიდა გარიგებაში, ამას ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება. ევა გოცირიძე ფიქრობს, რომ ამის უფლება ჰქონდა. სინამდვილეში ამის უფლება არ ჰქონდა.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ევრომოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის დადებითი ტენდენცია გამოიხატა.***

– ეს მოხდა ევროსასამართლოს რეკომენდაციის საფუძველზე. დადებითი ტენდენცია იყო კომისიაში ჩემი (ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის) და ქალბატონ ანა ნაცვლიშვილის მოხვედრა, რომელმაც ევა გოცირიძეს ნული ქულა დაუწერა. კარგი იქნება, თუ მთავრობა სიის პირველ სამეულს წარადგენს ევროსასამართლოში. ყველაზე ძლიერი, ჩემი აზრით, ნანა მჭედლიძეა, რომელსაც მე ხუთი პლიუსით დავუწერე. უცხო ენის ცოდნაშიც ყველაზე დაბალი ქულა ევა გოცირიძემ მიიღო.

მედიცინა



# როგორ ვებრძოლოთ ყელის ტკივილის და მის სიმშრალეს



ბავშვებში ყელის ტკივილის მიზეზი ხშირად ვირუსული ინფექციაა. ფარინგიტი ყელის ანთებაა, სწორედ ეს მდგომარეობაა ყელის ტკივილის მიზეზი უმეტეს შემხვევაში.

ფარინგიტი შეიძლება იყოს მწვავე, ასევე ქრონიკული. ყელის ტკივილს შეიძლება თან ახლდეს სიცხე (ცხელება) ხველა, და სხვა სისტემური სიმპტომები. როგორც ავღნიშნეთ ყელის ტკივილის უმეტესი შემთხვავე გამოწვეულია ვირუსებით, დანარჩენი მცირე შემთხვევები ბაქტერიებით ან სოკოებით. ჩვეულებრივი გაციება ბავშვებში ხშირი მიზეზია ყელის ტკივილისა, მას ნაზოფარინგიტი ჰქვია. ვირუსებიდან ყელის ტკივილს იწვევს: ადენოვირუსები, გრიპის გამომწვევი ვირუსები, ინფექციური მონონუკლეოზი, მარტივი ჰერპესი, წითელა, რინოვირუსები, კორონავირუსები, რესპირატორული ვირუსი;

სოკოებიდან ფარინგიტს უმეტესად იწვევს თეთრი კანდიდა (კანდიდა ალბიკანსი). ძნელი გასარჩევია ინფექცია ვირუსულია თუ ბაქტერიული, ნაცხის აღების შემდგომ ხდება დიფერენცირება, თუმცა დიაგნოსტიკაში იყენებენ 5 კლინიკურ ნიშანს რითიც შესაძლებელია მეტი ალბათობით სტრეპტოკოკული ინფექციის არსებობა: არ არის ხველა, შეშუპებული და გადიდებულია, ასევე მტკივნეული ლიმფური კვანძები, ტემპერატურა 38 გრადუსზე მეტად მომატებულია, ტონზილები შეშუპებულია ან აქვს თეთრი ნადები.

მკურნალობა ვირუსული ინფექციების დროს მხოლოდ სიმპტომურია, ბაქტერიულის დროს გამოიყენება ანტიბიოტიკები, სოკოვანის დროს ანტიმიკოზური პრეპარატები. სწორედ ამიტომაა საჭირო სწორად განისაზღვროს ინფექციის ტიპი, რადგან მისი მიხედვით განისაზღვრება მკურნალობა.

* * *

ქრონიკული ლარინგიტის დროს მიზანშეწონილია შემომგარსველი, დამარბილებელი და ამოსახველებელი საშუალებების მიღება.

თავსისხლას ფესვი – 10 გ, მუხის ქერქი – 5 გ, ფარსმანდუკის ბალახი – 5 გ, კრაზანას ბალახი – 2 გ

10 გრამ ნარევს დაასხით 200 მლ ცივი წყალი, გააჩერეთ 1 საათს, შემდეგ ნელ ცეცხლზე ადუღეთ 3-5 წუთს. გამოიყენეთ სავლებად ან საინჰალაციოდ, 50-100 მლ თითოეულ პროცედურაზე.

* * *

კულმუხოს (იგივე მზიურას) ფესვი – 3 გ, სალბის ბალახი – 5 გ, კუნელის ყვავილი – 5 გ, ვირისტერფას ფოთოლი – 10 გ, მინდვრის შვიტას ბალახი – 10 გ.

ერთ სადილის კოვზ ნარევს დაასხით 200 მლ ცივი წყალი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე 5-7 წუთს, შემდეგ გააჩერეთ ერთ საათს. მიიღეთ თბილი, 1/2 ჭიქა.

* * *

ქრონიკული ლარინგიტისა და ფარინგიტის დროს სასარგებლოა ჭაობის კოთხუჯისა და ძირტკბილას წვენი. თითოეული მცენარის წვენი უნდა მიიღოთ დღეში 2-ჯერ, თითო ჩაის კოვზი. ძლიერ ეფექტს ახდენს თაფლის 30%-იანი წყალხსნარის ინჰალაციებიც (მან, ვისაც თაფლის მიმართ ალერგია აქვს, 5-10%-იანი ხსნარი უნდა გამოიყენოს). ინჰალაციის პროცედურა ძილის წინ უნდა ჩაიტაროთ 15-20 წუთის განმავლობაში.

თაფლი უკუნაჩვენებია ასთმითა და ემფიზემით დაავადებულთათვის, აგრეთვე მათთვის, ვისაც გულის უკმარისობა, მიოკარდიტი, მაღალი ცხელება, ხშირი სისხლდენა და საზოგადოდ, იდიოსინკრაზია ანუ მეტისმეტი, ავადმყოფური მგრძნობიარობა აღენიშნება.

* * *

ყელის სიმშრალის დროს ჩაიტარეთ შემდეგი პროცედურა:

თუ გაქვთ ყელში სიმშრალე, მაშინ აიღეთ ერთი ჭიქა ანადუღარი ნელთბილი წყალი და ჩაამატეთ ნახევარი ჩაის კოვზი მარილი, გამოივლეთ დღეში 5-10 ჯერ.

ყელის კატარის დროს საუკეთესო საშუალებაა ყელში ზეითუნის ზეტის გამოვლება. პროცედურა დღეში რამდენჯერმე ჩაიტარეთ.

საუკეტესო საშუალებაა შავი შოკოლადის გაწუწვნა.

* * *

კარდიფის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასპირინი ყელის ტკილის განკურნების საუკეთესო საშუალებაა. თუ ყელში



გამოივლებთ ჭიქა წყალს, რომელშიც გაზავებულია 2 ტაბლეტი ასპირინი 2 საათში ტკივილი მკვეთრად შემცირდება და ეს ეფექტი 6 საათის განმავლობაში გაგრძელდება.

ვაიკატოს უნივესიტეტის კვლევების მიხედვით, კი ანგინის დროს ასევე ეფექტურია მენთოლის შესუნთქვა. მენთოლით გამოწვეული სიცივის შეგრძნება იწვევს ადგილობრივი ანესთეზიის ეფექტს. მენთოლი ასევე ათავისუფლებს გაჭედილ ცხვირს. ამავე უნივერსიტეტის მეცნიერთა განცხადებით თაფლი ინფექციას ყელში ეფექტურად ებრძვის. ეს პროდუქტი შეიცავს წყალბადის ზეჟანგს, რომელსაც ანტიბაქტერიული თვისებები გააჩნია.

მერილენდის უნივერსიტეტის კვლევებმა კი აჩვენა, რომ ძილის წინ მიცემული თაფლი ბავშვებში ყველაზე უკეთესად ამცირებს ღამის ხველების შეტევებს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

საერთაშორისო



# უკრაინული დიასპორა რუსული აგრესიის წინააღმდეგ

იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში მცხოვრებმა უკრაინელებმა გააპროტესტეს რუსული აგრესია, რომელიც ერთი წლის წინათ დაიწყო.

მიტინგები ამ ქვეყნებში არსებულმა უკრაინულმა სათვისტომოებმა მოაწყეს.

ლისაბონში გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა უკრაინის ელჩი პორტუგალიაში ინა ოგნივეცი.

მან მოუწოდა ევროპას, დაეხმაროს უკრაინას, რომელიც რუსული აგრესიის წინააღმდეგ იბრძვის.

– ჩვენ არა მარტო საკუთარ, არამედ მთელი დასავლური სამყაროს თავისუფლებასაც ვიცავთ, – თქვა ოგნივეცმა.

**ნიკა თევზაძე**

2016, 1 მარტი, №50

# სირია: „რთული გზა მშვიდობისკენ“

27 თებერვალს ძალაში შევიდა შეთანხმება სირიაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

საომარი მოქმედებების ინტენსიურობა შემცირდა, თუმცა მთლიანად მათი შეჩერება ვერ მოხერხდა.

– ომის დაწყება იოლია, ომიდან გამოსვლა – ძნელი, – წერდა ოტო ფონ ბისმარკი.

სირია ამისი ნათელი დადასტურებაა. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია შეთანხმება საომარი მოქმედებების შეჩერების შესახებ, ამისი ბოლომდე განხორციელება ჯერ ვერ ხერხდება.



ყველა მხარე შეთანხმებების დარღვევაში მოწინააღმდეგეს ადანაშაულებს. ასე, მაგალითად, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ თურქეთის მხრიდან სირიაში 100–მდე კარგად შეიარაღებული მებრძოლი შევიდა.

თურქეთი ამას კატეგორიულად უარყოფს.

– ეს სრული ცილისწამებაა, – ამტკიცებს თურქეთის თავდაცვის სამინისტრო.

დონბასის სეპარატისტთა საიტმა „რუსკაია ვესნამ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ ასადის არმია წარმატებით ავითარებს შეტევას ალეპოს მიმართულებით.

– რუსული ავიაციის მხარდაჭერით მოხერხდა რიგი სტრატეგიული დანიშნულების პუნქტებიდან მებრძოლების განდევნა, – იტყობინება „რუსკაია ვესნა“.

სეპარატისტების საიტი ასევე აკეთებს პროგნოზს, რომ მალე ალეპოს მახლობლად რკალი საბოლოოდ შეიკვრება.

– რუსები ჩვენი პოზიციების ბომბარდირებას განაგრძობენ. განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა ალეპოს მახლობლად, – იტყობინება სირიის ზომიერი ოპოზიცია.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ რუსეთს დაბომბვების შეწყვეტისკენ მოუწოდა, საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალჯიბაირმა კი განაცხადა:

– თუკი რუსეთი სამშვიდობო ხელშეკრულებების დარღვევას განაგრძობს, გეგმა „ბ“ ამოქმედდება! ნურავინ ფიქრობს, რომ ეს ბლეფია. გეგმა რეალურად არსებობს და თუ ის ამოქმედდა, გაძლევთ პირობას, რომ რუსეთს პრობლემები შეექმნება!

ამან გაჭრა. ალეპოს მიდამოებში რუსეთმა დაბომბვები შეწყვიტა. პრაქტიკულად ფრონტის მთელს უბანზე სიწყნარემ დაისადგურა, თუმცა პრეზიდენტმა ასადმა განაცხადა:

– სამშვიდობო შეთანხმება პირველად ოპოზიციამ დაარღვია! ის, რაც ალეპოსთან მოხდა, ჩვენი საპასუხო ქმედებაა!

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ მშვიდობის დარღვევაში სირიის ოპოზიცია და თურქეთი დაადანაშაულა. შოიგუმ კრემლის ძველი სტანდარტული ბრალდება გაიმეორა, თურქეთი ისლამურ სახელმწიფოსთან თანამშრომლობს და ალეპოსთან ექსცესებიც ამან გამოიწვიაო.

აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ სამშვიდობო ხელშეკრულება ძირითადად სრულდება, თუმცა ცალკეულ ექსცესებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

– ჩვენი ამოცანაა, ასეთი ექსცესები მაქსიმალურად შევამციროთ და საბოლოოდ ნულამდე დავიყვანოთ, – თქვა ობამამ.

აშშ-ს პრეზიდენტმა თქვა, რომ სამშვიდობო ხელშეკრულება არ ვრცელდება ექსტრემისტებზე, კერძოდ, ისლამურ სახელმწიფოსა და ალ ნუსრაზე.

აშშ-ს ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ მუსლიმანი ექსტრემისტები არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ იდეოლოგიურადაც უნდა დამარცხდნენ.

ობამამ განაცხადა, რომ ამ მიმართულებით დიდი სამუშაო ჩატარდა.

– ექსტრემისტების იდეოლოგიურ განადგურებაში ჩვენ გვეხმარებიან პარტნიორები, რომლებიც მთელ მსოფლიოში არიან, – თქვა ობამამ.

# ევროკავშირი გერმანიას ფულს არ გამოუყოფს


© picture-alliance/dpa/D. Reinhardt

გერმანიის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად მიმართა ევროკავშირის სოციალურ ფონდს და დამატებითი თანხის გამოყოფა მოითხოვა.

კანცლერ მერკელის აზრით, ამის გარეშე სირიელი ლტოლვილებისთვის ნორმალური პირობების შექმნა შეუძლებელია.

ამ მოთხოვნამ ევროკავშირის სოციალური ფონდის ხელმძღვანელობა საგონებელში ჩააგდო.

– გერმანიას დამატებით თანხას ვერ გამოვუყოფთ, – თქვა ევროკომისარმა სოციალურ საკითხებში მარიანა ტისენმა, – არსებობენ სხვა ქვეყნებიც, რომლებიც ფინანსურ დახმარებას საჭიროებენ. თუ გერმანიას აღნიშნულ თანხას მივცემთ, ეს სხვა სახელმწიფოების ხარჯზე უნდა მოხდეს, რაც დაუშვებელია.

# ტრამპს მხარს კუ-კლუქს-კლანი უჭერს



აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი, მილიარდერი დონალდ ტრამპი ახალ სკანდალში გაეხვა.

ყველა გააოგნა იმან, რომ კუ-კლუკს-კლანის ყოფილმა ლიდერმა დევიდ დიუკმა მას საჯაროდ მხარდაჭერა გამოუცხადა.

– ტრამპი ის ადამიანია, რომელიც დღეს ამერიკას სჭირდება, – თქვა დიუკმა.

პასუხად ტრამპმა თქვა, რომ დიუკის შესახებ ადრე არასოდეს სმენია, კუ-კლუკს-კლანმა კი აშშ-ს ისტორიაში დადებითი როლი ითამაშა.

– კუ-კლუკს-კლანი წინააღმდეგობის მოძრაობას წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთის შტატებმა სამხრეთს თავისი წესები თავს ძალით მოახვიეს. ასეთ სიტუაციაში კუ-კლუკს-კლანი და მისი მსგავსი ორგანიზაციები ჩნდებიან, – თქვა ტრამპმა.

მილიარდერით საზოგადოების გაოგნება ამით არ დასრულებულა.

თავის ტვიტერზე ტრამპმა მოიყვანა ციტატა მუსოლინიდან: სჯობს, ერთი დღე იცოცხლო და ლომივით მოკვდე, ვიდრე ასი წელი ცხვრად გაატარო.

ამან აშშ-ში ბევრი აღაშფოთა.

–არ ვიცოდი, თუ ეს მუსოლინის გამონათქვამი იყო! მე ის ძალიან მომეწონა. ამ გამოთქმაში ფაშისტური არაფერია! – თქვა ტრამპმა.

# მინსკი: „გადადგეს ლუკაშენკო!“


svaboda.org (RFE/RL)

ბელარუსის დედაქალაქში ბიზნესმენებისა და მრეწველების მიტინგი შედგა.

მასში 300 ადამიანი მონაწილეობდა. მომიტინგეებმა პრეზიდენტ ლუკაშენკოს გადაყენება მოითხოვეს.

– ლუკაშენკო არა ბელარუსის, არამედ რუსეთის ინტერესებს იცავს, – ამბობდნენ მანიფესტანტები.

მიტინგი სანქციონირებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მილიციას არავინ დაუკავებია. ძალოვნები არც მაშინ ჩარეულან, როცა მიტინგის დამთავრების შემდეგ მოეწყო მსვლელობა მთავრობის სახლისკენ.

აქ მანიფესტანტები სკანდირებდნენ: „ძირს ლუკაშენკო! გაუმარჯოს ბელარუსის დამოუკიდებლობას.“

ამის შემდეგ მომიტინგეები დაიშალნენ.

# რუსებს სტალინი მოენატრათ



ბერტელმანის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემებით, რუსეთში ავტოკრატია ძლიერდება. ეს თანაბრად შეეხება როგორც სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში, ასევე პოლიციური რეჟიმის გამკაცრებასა და შოვინიზმის გაძლიერებას.

ამას ხელს უწყობს თავად რუსი ხალხის განწყობილებაც.

რუსეთის მოქალაქეთა 82% მიიჩნევს, რომ დემოკრატიამ არ გაამართლა და მუხრუჭების მოჭერაა აუცილებელი. 79% თვლის, რომ აშშ რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობს და მისი მიზანი რუსეთის დაშლაა. 68%-ის აზრით, სტალინი დიდი რუსი მოღვაწე იყო და მისი ძეგლი რუსეთის ყველა ქალაქში უნდა იდგეს. რუსების 89% საბჭოთა კავშირის დაშლას უბედურებად მიიჩნევს და ამა თუ იმ ფორმით მის აღდგენას მხარს უჭერს. რუსების 80% უკრაინას მტრულ სახელმწიფოდ მიიჩნევს, 62% თვლის, რომ უკრაინა უნდა დაიშალოს.

პუტინი უფრო მეფეს ჰგავს, ვიდრე პრეზიდენტს. მას შეუზღუდავი ძალაუფლება გააჩნია. პუტინის ხელშია როგორც ძალოვანი, ასევე ეკონომიკური სტრუქტურები და მისი გაკონტროლება არც ერთ ინსტიტუტს არ შეუძლია.

– პუტინი გულღრძო ადამიანია, წყენას ადვილად არ ივიწყებს, ამავე დროს, არ არის ბოროტი. მას უყვარს ფუფუნება და ლამაზი ქალები, ზრუნავს შვილებზე, ყოფილ მეუღლეზე, არ დავიწყებია ძველი მეგობრები. პუტინს არ აწუხებს პარანოია, დევნის ან განდიდების მანიები, ამიტომაც რუსეთში მასობრივი რეპრესიები არ დაწყებულა, – თვლის ბერტელმანის ფონდი.

# აფეთქება ბაღდადში



ბაღდადის გარეუბანში აფეთქება მოხდა. ამჯერად ტერაქტი ბაზრის ტერიტორიაზე განხორციელდა, სადაც მუდამ უამრავი ხალხი ირევა.

აფეთქებამ 24 ადამიანი შეიწირა.

ტერაქტიდან რამდენიმე საათის შემდეგ განხორციელდა ისლამისტი-ექსტრემისტების თავდასხმა პატარა ქალაქ აბუ-გრეიბზე, რომელიც ბაღდადის მახლობლად მდებარეობს.

ერაყის სამთავრობო ჯარებსა და ტერორისტებს შორის ცხარე ბრძოლები გაიმართა.

ერაყელმა სამხედროებმა ტერორისტების თავდასხმა მოიგერიეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


## განცხადებები

### მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვანკისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ფაჩულიას დრო უმცირდება, მარკოიშვილმა სანიკიძეს მოუგო

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



დალას მავერიკსმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. ტეხასელებმა მინესოტა გაანადგურეს.

მასპინძლებმა მატჩის ბედი საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე გადაწყვიტეს და თავის გამოჩენის საშუალებაც განაცხადში მყოფ ყველა კალათბურთელს მიეცა და სათამაშო დროც მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში გახლდათ და 4 ორქულიანიდან 2 ჩააგდო, ხოლო 2 საჯარიმოდან არც ერთი აუცილებია. ქართველმა ცენტრმა მოგროვებულ 6 ქულას 7 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაყოლა, რაც 20-წუთიანი თამაშის კვალობაზე საკმაოდ კარგი შედეგია.

32 მოგებითა და 28 მარცხით დალასელები პორტლენდთან ერთად დასავლეთ კონფერენციის მე-6-7 ადგილებს იყოფენ.

მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი კვლავ შინაურ არენაზე, ორლანდოსთან გამართავს.

გიორგი შერმადინის ანდორა მორაბანკმა ესპანეთის პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში სტუმრად ბილბაო ბასკეტთან წააგო. ანდორელები წარმატების შანსს ბოლო მეოთხედამდე ინარჩუნებდნენ, თუმცა საბოლოოდ 72:83 დამარცხდნენ.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და შედეგიანადაც ითამაშა. ქართველმა ცენტრმა მოედანზე 24 წუთი გაატარა და 10 ქულა, 7 მოხსნა, 3 დაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრმა 9-დან 4 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

9 მოგებითა და 12 წაგებით ანდორა ცხრილში მე-10 ადგილზეა. მორიგი მატჩი შერმადინის გუნდს შინ ესტუდიანტესთან ელის.

ბექა ბურჯანაძის ლეიმა ბასკეტმა ესპანეთის რანგით მეორე დივიზიონში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ლაკორუნიელები სტუმრად პენიას ჰუესკას შეხვდნენ და დამაჯერებელი სხვაობით – 78:64 სძლიეს.

ქართველი ლეგიონერი სასტარტო ხუთეულში იყო და გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო. მოედანზე გატარებულ 27 წუთში მან 7 ქულა, 11 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ბექამ 6-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი ჩააგდო, 1 საჯარიმო კი ააცილა.

12 მოგებითა და 11 მარცხით ლეიმა ბასკეტი კასტელოსა და ბარსელონასთან (მეორე გუნდი) ერთად ცხრილში მე-6-8 ადგილებს იყოფს.

მომდევნო ტურში ბურჯანაძის გუნდი ხუვენტუდს უმასპინძლებს.

თურქეთის ჩემპიონატის მონაწილე 2 ქართველი ლეგიონერის გუნდები ერთმანეთს ანკარაში შეხვდნენ. ვიქტორ სანიკიძის თედ კოლეჯლერმა მანუჩარ მარკოიშვილის დარუშაფაკას უმასპინძლა. ორივე ქართველმა შედეგიანად ითამაშა, გამარჯვება კი მარკოიშვილის გუნდს დარჩა – 84:71.

ორივე ქართველი სასტარტო ხუთეულში იყო და ორივე მათგანი საკუთარ გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

მარკოიშვილმა მოედანზე 24 წუთზე ოდნავ მეტი ხანი გაატარა და შეხვედრა 11 ქულით, 2 მოხსნით, 2 ჩაჭრით და 1 პასით დაასრულა. მანუჩარმა 5-დან 4 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი ჩააგდო.

სანიკიძე კი მატჩის ერთადერთი მოთამაშე გამოდგა, რომელმაც ორმაგი დუბლი მიითვალა. სანიკიძემ 9-დან 4 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამიანი კი ააცილა. საბოლოოდ სანიკიძის ანგარიშზე 10 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა დაგროვდა.

12 მოგებითა და 7 მარცხით მარკოიშვილის გუნდი ცხრილში მე-4 ადგილზეა, ხოლო თედ კოლეჯლერს პირიქით – 7 მოგების წილ 12 წაგება აქვს და 16-გუნდიან ლიგაში მე-12 ადგილზეა.

# შედეგები

**28 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

**ფინალი**

ლივერპული-სიტი ................ 1:1(1:3პ)

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-ევერტონი ................. 0:0
ნიუკასლი-სიტი ............................ 0:0
მანჩესტერი-არსენალი .................. 3:2
ტოტენჰემი-სუონსი ....................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 27 | 16 | 8 | 3 | 49-29 | 56 |
| 2.ტოტენჰემი | 27 | 15 | 9 | 3 | 49-21 | 54 |
| 3.არსენალი | 27 | 15 | 6 | 6 | 43-26 | 51 |
| 4.სიტი | 26 | 14 | 5 | 7 | 48-28 | 47 |
| 5.მანჩესტერი | 27 | 12 | 8 | 7 | 36-26 | 44 |
| 6.ვესტ ჰემი | 27 | 11 | 10 | 6 | 41-31 | 43 |
| 7.საუთჰემპტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 35-26 | 40 |
| 8.სტოკი | 27 | 11 | 6 | 10 | 29-33 | 39 |
| 9.ლივერპული | 26 | 10 | 8 | 8 | 38-36 | 38 |
| 10.უოტფორდი | 27 | 10 | 7 | 10 | 29-28 | 37 |
| 11.ჩელსი | 27 | 9 | 9 | 9 | 40-37 | 36 |
| 12.ევერტონი | 26 | 8 | 11 | 7 | 46-35 | 35 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 9 | 8 | 10 | 27-34 | 35 |
| 14.კრ.პალასი | 27 | 9 | 5 | 13 | 29-35 | 32 |
| 15.ბორნმუთი | 27 | 7 | 8 | 12 | 30-44 | 29 |
| 16.სუონსი | 27 | 6 | 9 | 12 | 25-36 | 27 |
| 17.ნორვიჩი | 27 | 6 | 6 | 15 | 30-51 | 24 |
| 18.ნიუკასლი | 26 | 6 | 6 | 14 | 27-49 | 24 |
| 19.სანდერლენდი | 27 | 6 | 5 | 16 | 32-51 | 23 |
| 20.ასტონ ვილა | 27 | 3 | 7 | 17 | 21-48 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-ლევანტე .................. 3:0
ვალენსია-ბილბაო ........................ 0:3
დეპორტივო-გრანადა .................. 0:1
ბარსელონა-სევილია .................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 21 | 3 | 2 | 69-21 | 66 |
| 2.ატლეტიკო | 26 | 18 | 4 | 4 | 36-11 | 58 |
| 3.რეალი | 26 | 16 | 6 | 4 | 71-25 | 54 |
| 4.ვილიარეალი | 26 | 15 | 7 | 4 | 33-18 | 52 |
| 5.სელტა | 26 | 12 | 5 | 9 | 39-44 | 41 |
| 6.სევილია | 26 | 11 | 8 | 7 | 37-28 | 41 |
| 7.ბილბაო | 26 | 11 | 5 | 10 | 38-35 | 38 |
| 8.ეიბარი | 26 | 10 | 6 | 10 | 40-35 | 36 |
| 9.სოსიედადი | 26 | 9 | 7 | 10 | 36-35 | 34 |
| 10.დეპორტივო | 26 | 6 | 14 | 6 | 33-32 | 32 |
| 11.მალაგა | 26 | 8 | 8 | 10 | 23-23 | 32 |
| 12.ვალენსია | 26 | 7 | 10 | 9 | 30-29 | 31 |
| 13.ბეტისი | 26 | 6 | 10 | 10 | 21-36 | 28 |
| 14.ესპანიოლი | 26 | 8 | 4 | 14 | 26-50 | 28 |
| 15.ხეტაფე | 26 | 7 | 5 | 14 | 26-40 | 26 |
| 16.რაიო | 26 | 6 | 8 | 12 | 36-53 | 26 |
| 17.ლას პალმასი | 26 | 6 | 6 | 14 | 25-40 | 24 |
| 18.ხიხონი | 26 | 6 | 6 | 14 | 30-46 | 24 |
| 19.გრანადა | 26 | 6 | 5 | 15 | 27-51 | 23 |
| 20.ლევანტე | 26 | 5 | 5 | 16 | 24-48 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეგანესი-ალავესი ....................... 2:0
ალმერია-ალბასეტე ...................... 1:0
მირანდესი-ტენერიფე ................... 1:2
სარაგოსა-ლუგო .......................... 3:1
ხიმნასტიკი-ვალიადოლიდი ........... 1:1
ოვიედო-ელჩე .............................. 3:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-გლადბახი .................. 2:2
დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი .............. 3:1
მაინცი-ლევერკუზენი ................... 3:1
აინტრახტი-შალკე ........................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 20 | 2 | 1 | 58-11 | 62 |
| 2.დორტმუნდი | 23 | 17 | 3 | 3 | 57-25 | 54 |
| 3.ჰერტა | 23 | 11 | 6 | 6 | 31-24 | 39 |
| 4.გლადბახი | 23 | 11 | 3 | 9 | 45-40 | 36 |
| 5.მაინცი | 23 | 11 | 3 | 9 | 32-29 | 36 |
| 6.ლევერკუზენი | 23 | 10 | 5 | 8 | 32-26 | 35 |
| 7.შალკე | 23 | 10 | 5 | 8 | 31-29 | 35 |
| 8.ვოლფსბურგი | 23 | 8 | 7 | 8 | 32-31 | 31 |
| 9.ინგოლშტადტი | 23 | 8 | 6 | 9 | 17-24 | 30 |
| 10.კიოლნი | 23 | 7 | 8 | 8 | 24-29 | 29 |
| 11.ჰამბურგი | 23 | 7 | 7 | 9 | 26-31 | 28 |
| 12.შტუტგარტი | 23 | 8 | 4 | 11 | 35-44 | 28 |
| 13.აუგსბურგი | 23 | 6 | 7 | 10 | 26-33 | 25 |
| 14.დარმშტადტი | 23 | 6 | 7 | 10 | 25-36 | 25 |
| 15.აინტრახტი | 23 | 5 | 8 | 10 | 27-37 | 23 |
| 16.ვერდერი | 23 | 5 | 6 | 12 | 27-46 | 21 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 23 | 3 | 9 | 11 | 23-36 | 18 |
| 18.ჰანოვერი | 23 | 5 | 2 | 16 | 21-38 | 17 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ფრანკფურტი .......... 0:0
დუისბურგი-ზ.პაული .................... 0:2
ჰაიდენჰაიმი-არმინია ................... 3:2

**იტალია. სერია ა**

პალერმო-ბოლონია ...................... 0:0
კარპი-ატალანტა .......................... 1:1
სამპდორია-ფროზინონე................. 2:0
კიევო-ჯენოა ................................ 1:0
უდინეზე-ვერონა .......................... 2:0
იუვენტუსი-ინტერი ....................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 27 | 19 | 4 | 4 | 48-15 | 61 |
| 2.ნაპოლი | 26 | 17 | 6 | 3 | 54-21 | 57 |
| 3.რომა | 27 | 15 | 8 | 4 | 55-28 | 53 |
| 4.ფიორენტინა | 26 | 16 | 4 | 6 | 47-26 | 52 |
| 5.ინტერი | 27 | 14 | 6 | 7 | 34-25 | 48 |
| 6.მილანი | 27 | 13 | 8 | 6 | 39-28 | 47 |
| 7.სასუოლო | 26 | 9 | 11 | 6 | 32-31 | 38 |
| 8.ლაციო | 26 | 10 | 7 | 9 | 34-34 | 37 |
| 9.ბოლონია | 27 | 10 | 5 | 12 | 29-31 | 35 |
| 10.კიევო | 27 | 9 | 7 | 11 | 32-36 | 34 |
| 11.ემპოლი | 27 | 9 | 7 | 11 | 33-40 | 34 |
| 12.ტორინო | 27 | 8 | 8 | 11 | 33-34 | 32 |
| 13.ატალანტა | 27 | 7 | 9 | 11 | 26-31 | 30 |
| 14.უდინეზე | 27 | 8 | 6 | 13 | 24-40 | 30 |
| 15.ჯენოა | 27 | 7 | 7 | 13 | 27-32 | 28 |
| 16.სამპდორია | 27 | 7 | 7 | 13 | 39-46 | 28 |
| 17.პალერმო | 27 | 7 | 6 | 14 | 27-47 | 27 |
| 18.ფროზინონე | 27 | 6 | 5 | 16 | 26-53 | 23 |
| 19.კარპი | 27 | 4 | 9 | 14 | 24-44 | 21 |
| 20.ვერონა | 27 | 2 | 12 | 13 | 24-45 | 18 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-მონაკო .............................. 0:0
სტ.ეტიენი-კაენი .......................... 1:2
გაზელეკი-მარსელი ...................... 0:0
ლიონი-პსჟ ................................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 23 | 4 | 1 | 68-15 | 73 |
| 2.მონაკო | 28 | 13 | 11 | 4 | 40-30 | 50 |
| 3.ლიონი | 28 | 12 | 6 | 10 | 40-30 | 42 |
| 4.კაენი | 28 | 13 | 3 | 12 | 30-36 | 42 |
| 5.ნიცა | 28 | 11 | 8 | 9 | 39-32 | 41 |
| 6.რენი | 28 | 10 | 11 | 7 | 36-33 | 41 |
| 7.სტ.ეტიენი | 28 | 12 | 5 | 11 | 33-32 | 41 |
| 8.ნანტი | 27 | 10 | 10 | 7 | 26-24 | 40 |
| 9.ანჟე | 28 | 10 | 8 | 10 | 29-29 | 38 |
| 10.ლორიანი | 28 | 9 | 10 | 9 | 40-41 | 37 |
| 11.ბასტია | 27 | 11 | 4 | 12 | 27-29 | 37 |
| 12.ბორდო | 28 | 9 | 10 | 9 | 37-43 | 37 |
| 13.მარსელი | 27 | 8 | 12 | 7 | 37-28 | 36 |
| 14.მონპელიე | 28 | 10 | 5 | 13 | 36-33 | 35 |
| 15.ლილი | 28 | 7 | 13 | 8 | 21-23 | 34 |
| 16.გენგამი | 28 | 8 | 8 | 12 | 33-40 | 32 |
| 17.რეიმსი | 28 | 8 | 8 | 12 | 32-39 | 32 |
| 18.გაზელეკი | 27 | 6 | 10 | 11 | 28-38 | 28 |
| 19.ტულუზა | 28 | 4 | 10 | 14 | 27-47 | 22 |
| 20.ტრუა | 28 | 2 | 8 | 18 | 20-57 | 14 |

**ჰოლანდია. ეredivizioni**

ერაკლესი-როდა ........................... 0:5
გრააფსხაპი-ჰერენვენი ................. 0:1
უტრეხტი-ფეინოორდი ................... 1:2
აიაქსი-ალკმაარი ......................... 4:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-აკადემიკა .................... 1:0
მორეირენშე-ტონდელა .................. 1:2
ბელენენსეში-პორტუ ..................... 1:2

**რუსეთი. თასი**

ზენიტი-ყუბანი ................... 0:0(1:0დდ)

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-გრასჰოპერსი .................. 1:1
თუნი-ბაზელი .............................. 1:1
სტ.გალენი-ლუგანო ...................... 3:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-გროდიგი ......................... 3:2
ზალბურგი-აუსტრია ..................... 4:1

**ბელგია. პრო ლიგა**

გენკი-ბრიუგე .............................. 3:2
ანდერლეხტი-სტანდარდი ............. 3:3
შარლერუა-ბევერენი .................... 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-ვერია ..................... 3:0
პანიონიოსი-ლევადიაკოსი ............ 0:2
პანთრათიკოსი-იანინა .................. 2:4
აეკი-პანათინაიკოსი ..................... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ანთალია ........................... 0:0
გენჩლერი-აკხისარი ...................... 3:1
გაზიანტები-გალათასარაი ............. 2:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სლავია-ბანიკი ............................. 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-იაგელონია ......................... 0:2
პოგონი-ნეცეჩა ............................ 1:1
ლეგია-რუხი ................................ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ვიბორგი-ნორდსიელანდი ............. 1:1
კოპენჰაგენი-ესბიერგი ................. 2:1
ბრონდბიუ-ჰობრო ....................... 1:0

*მოამზადა მანველ ყორყოტაშვილმა*

# ჩოგბურთელთა ნაკრებში ძმისშვილი შვილმა ჩაანაცვლა



საქართველოს ჩოგბურთის ეროვნულ ნაკრები 4-6 მარტს დევისის თასზე შინ დანიის ეროვნულ გუნდს დაუხვდება. როგორც ცნობილია, ნაკრების შემადგენლობაში ცვლილება მოსალოდნელი იყო.

სანდრო მეტრეველი რამდენიმე დღის წინ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბიძას ალექსანდრე მეტრეველს დაუპირისპირდა და ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა, მის ნაცვლად გუნდში ფედერაციის პრეზიდენტის შვილი ირაკლი მეტრეველი ითამაშებს.

ატპ-ს რეიტინგში, ირაკლი მეტრეველი 2090-ე ჩოგანია. შესაბამისად, გუნდს სერიოზული დანაკლისი აქვს.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრები, დევისის თასზე შემდეგი შემადგენლობით ითამაშებს: ნიკოლოზ ბასილაშვილი, გიორგი ცივაძე, გიორგი ჯავახიშვილი და ირაკლი მეტრეველი.

გეტყვით იმასაც, რომ ქართველმა ჩოგბურთელებმა, მე-2 ჯგუფში თამაშის უფლება მას შემდეგ მოიპოვეს, რაც მე-3 ჯგუფში, ალბანეთს, ისლანდიას, მალტასა და ესტონეთს სძლიეს.

# 19 წლამდე საფეხბურთო ნაკრები ჩერნოგორიაშია




საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ჩერნოგორიაში გაემგზავრა. გიორგი ყიფიანის გუნდი პოდგორიცაშია, სადაც დღეს და 3 მარტს ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს იქაურ თანატოლებთან. ჩვენი ნაკრები ჩერნოგორიაში 20 ფეხბურთელით ჩავიდა.

**საქართველოს 19 წლამდე ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** ოთო გოშაძე (საბურთალო), გიორგი ჩოჩიშვილი (საბურთალო);

**მცველები:** ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო), ლუკა ლოჩოშვილი, დავით კობაური (ორივე დინამო თბ), რომან ჩაჩუა (შუქურა), გიორგი ახალაძე (სამტრედია);

**ნახევარმცველები:** ნიკა ქორიძე (რეჯინა, იტალია), ირაკლი კომახიძე (შუქურა), ლუკა ფოჩხუა (დინამო თბ), დავით სამურკასოვი, შერმადინ ართმელაძე, გიორგი პაპუაშვილი, რატი არდაზიშვილი (ყველა ლოკომოტივი), ირაკლი ბიძინაშვილი, გიორგი კოხრეიძე, ვლადიმერ მამუჩაშვილი (ყველა საბურთალო);

**თავდამსხმელები:** ბექა მიქელთაძე, ენვერ ლილუაშვილი (ორივე დინამო თბ), გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი).

საქართველოს ნაკრები 24-29 მარტს სევილიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდისთვის ემზადება, სადაც მეტოქეებად ესპანეთი, ინგლისი და უკრაინა ეყოლება.

# ფეხბურთელ ქალთა ნაკრების მოგება და ფრე საუდის არაბეთში



საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა ახალი სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელობით 2 ამხანაგური მატჩი გამართა საუდის არაბეთის ნაკრებთან.

ლევან ბაჯელიძის დებიუტი წარმატებული გამოდგა და მისმა გუნდმა პირველ მატჩში მეტოქე დამაჯერებელი ანგარიშით 3:0 დაამარცხა. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე ლელა ჭიჭინაძე იყო, რომელმაც მეტოქის კარი სამჯერ აილო.

ჩვენმა გოგონებმა იმავე ნაკრებთან მეორე ამხანაგური მატჩი 1:1 ითამაშეს.

მე-13 წუთზე ანგარიში ჭიჭინაძემ გახსნა, ხოლო 23-ზე მასპინძლებიდან საპასუხო გოლი ფალეჰმა გაიტანა.

12 აპრილს კი, ევრო 2017-ის შესარჩევ შეხვედრაში ქართველი გოგონები სტუმრად ჩეხეთის ნაკრებს შეხვდებიან.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ბაიერნის ექსპრეზიდენტმა ციხე დატოვა



მიუნხენის ბაიერნის ყოფილი პრეზიდენტი ული ჰიონესი გუშინ ციხიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. ჰიონესმა მხოლოდ სასჯელის ნახევარი მოიხადა.

გერმანიის ნაკრების და მიუნხენური კლუბის ყოფილი ფეხბურთელი 2014 წელს გადასახადებისგან თავის არიდებისთვის დააპატიმრეს და 3,5 წელი მიუსაჯეს. ჰიონესმა საერთო ჯამში 27,2 მილიონი ევრო დაუმალა სახელმწიფოს და უფრო მძიმე სასჯელს იმიტომ გადაურჩა, რომ დანაშაული აღიარა.

თავდაპირველად გამოძიება 3 მილიონი ევროს დამალვაზე დაიწყო, მაგრამ ჰიონესის აღიარების შემდეგ თამასა 15 მილიონამდე აიწია. კიდევ უფრო დამძიმდა დანაშაული ბუღალტრის ჩარევის შემდეგ, რომლის ჩვენებით გაირკვა, რომ ჰიონესმა 27,2 მილიონი არ გადაიხადა.

ციხეში ყოფნის პერიოდში მიუნხენელთა 64 წლის ექსპრეზიდენტი ახალგაზრდა ფეხბურთელების განყოფილებაში საქმიანობდა. იქ უპრობლემოდ გატარებულმა წლებმა, პლუს გამოძიებასთან თანამშრომლობამ მისცა საშუალება, ციხე ნაადრევად დაეტოვებინა.

როგორც ჰიონესმა განაცხადა, ჯერ არ იცის, რა საქმიანობას შეუდგება ციხიდან გასვლის შემდეგ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სერხიო ბუსკეტსი ახალ კონტრაქტს ელოდება



ბარსელონას ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი სერხიო ბუსკეტსი ახალი კონტრაქტის მოლოდინშია, რომლის მიხედვითაც, ის ბარსელონაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება.

კატალონიური კლუბი კონტრაქტის შეთავაზებას ზაფხულში აპირებს, ბუსკეტსი კი ამით უკმაყოფილოა.

27 წლის ნახევარმცველი თავის პოზიციაზე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება და მისი გადაბირება ბევრი გუნდის ოცნებაა, ამიტომ ბარსელონამ დროულად უნდა მოაგვაროს კონტრაქტთან დაკავშირებული გაუგებრობები, თორემ სერხიო შეიძლება სხვა კლუბშიც აღმოჩნდეს.

# დიეგო სიმეონეს ინტერი ეპატიჟება



მილანის ინტერის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მომავალი სეზონიდან ინტერის მწვრთნელი დიეგო სიმეონე უნდა გახდეს.

სიმეონე უკვე რამდენიმე წელიწადია მადრიდის ატლეტიკოში მუშაობს და მისმა გაწვრთნილმა გუნდმა 2 წლის წინ ესპანეთის ჩემპიონატიც მოიგო.

ინტერი სიმეონეს ხელფასის სახით წელიწადში 20 მილიონ ევროს სთავაზობს, რაც უზარმაზარი ფულია.

სიმეონეს სახელს ჩელსისაც უკავშირებენ, ხოლო თვითონ არგენტინელი სპეციალისტი ჯერჯერობით ამ ყველაფერზე კომენტარს არ აკეთებს.

აღსანიშნავია, რომ დიეგო სომეონე, როგორც ფეხბურთელი, ინტერში თამაშობდა და ლეგენდარული ბრაზილიელი ფორვარდის, რონალდოს თანაგუნდელიც იყო.

# კარიმ ბენზემამ ტრავმა მიიღო



მადრიდის რეალს საკმაოდ რთული პერიოდი აქვს. სამეფო გუნდმა მნიშვნელოვანი შეხვედრა წააგო ატლეტიკოსთან და ზიდანის ხელმძღვანელობით ეს მისი პირველი მარცხი იყო.

ამ წაგებამ რეალის საჩემპიონო შანსები მიზერული გახადა, რადგან ბარსელონასთან სხვაობა უკვე 12 ქულას შეადგენს. გარდა ამისა, გუნდში ბევრი ტრავმაა და ლაზარეთში მყოფ გარეტ ბეილს კარიმ ბენზემაც დაემატა, რომელიც სავარაუდოდ 3 კვირას გამოტოვებს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბენზემა რეალს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური სტადიის განმეორებით შეხვედრაში რომასთან ვერ დაეხმარება.

ასე რომ, სახელოვანი ტრიოსგან, რომელსაც ჟურნალისტებმა ?????? შეარქვეს, მხოლოდ კრიშტიანო რონალდუ დარჩა, რომელსაც ბეილის და ბენზემას გარეშე მოუწევს ფონს გასვლა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# პატარა წავს სათამაშოების ჩაძირვა მოსწონს



ჩრდილოამერიკული წავის ნაშიერს თავისი სათამაშო ორეულების წყალში ჩაძირვა მოეწონა. ხუთი კვირის წავი ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპას მახლობლად გზის პირას იპოვეს. ამჟამად მისი მოვლით ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრი კრის პორტერია დაკავებული.

მისი თქმით, გადარჩენილი პატარა ცხოველი მეტად ალერსიანია, რაც მეტად უჩვეულოა მდინარის წავებისთვის. გარდა ამისა, მას ძალიან უყვარს თავისი სათამაშო ორეულები, მაგრამ ის მათ გამუდმებით წყალში ძირავს.

წავის ნაშიერის აღდგენითი პროცესი კარგად მიმდინარეობს. ამავე დროს პორტერს ძალიან აღელვებს ის ფაქტი, რომ პატარა წავი ძალიან შეეჩვია ადამიანებს და ამის გამო ძალიან გაუჭირდება ველურ ბუნებაში დაბრუნების შემთხვევაში ახალ გარემოსთან შეგუება.

# ლონდონში სპა-სალონი კურდღლებით გაიხსნება



მალე ინგლისის დედაქალაქ ლონდონში მსოფლიოში პირველი სპა-სალონი კურდღლებით გაიხსნება, რომელშიც ვიზიტი მსურველებს 12-დან 14 მარტის ჩათვლით შეეძლებათ.

სტუმრებს რამდენიმე უფასო სერვისს შესთავაზებენ, რომლის დროსაც დაწესებულებაში კურდღლები ირბენენ, რომელთაც სპეციალური კურდღლების ცენტრიდან მოიყვანენ.

პროექტს ერთ-ერთი კომპანია ახორციელებს, რომლის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მათ ცხოველები ისევე უყვართ, როგორც უყვართ ადამიანები. სპა-სალონში მყოფი კურდღლები, ისევე, როგორც მათი პატრონები, უზრუნველყოფილნი იქნებიან საკვებით და სამოძრაო სივრცით. კომპანიის წარმომადგენლის თქმით, კურდღლებს უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა.

# ძაღლებს თვალებში კომპასი ჰქონიათ

გერმანელი მეცნიერები მაქს პლანკის კვლევითი ინსტიტუტიდან იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველა ძაღლს აქვს განსაკუთრებული გრძნობა, რომელიც მათ სივრცეში ორიენტირებაში ეხმარება.



ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, ეს შინაგანი კომპასი ძაღლებს თვალებში აქვთ, რაც, მაგალითად, კატებს არ გააჩნიათ.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერებმა 90 სახეობის მტაცებელს აღმოუჩინეს კრიპტოქრომის მოლეკულა, რომელიც მათ სივრცეში ორიენტირებისთვის მაგნიტური ველების გამოყენებაში ეხმარება. ისინი მისი დახმარებით განსაზღვრავენ საკუთარ ადგილმდებარეობას და ამის შესაბამისად ირჩევენ მიმართულებას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოლეკულა მტაცებლებს იმავე ადგილას აქვთ მოთავსებული, სადაც ფრინველებს, კერძოდ, თვალებში.

— ამგვარად, გამორიცხული არ არის, რომ ეს ცხოველები მაგნიტურ ველს მხედველობის სისტემითაც აღიქვამენ, — აღნიშნავენ გერმანელი მეცნიერები.

გამოკვლევების თანახმად, ცხოველების ქცევით არ ვლინდება, რომ ისინი მაგნიტურ ხაზებს ხედავენ.

# მოსწავლეებს მასწავლებლის მოწამვლა ბრალდებათ



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ დელტონში პოლიციელებმა სამი 12 წლის მოსწავლე დააპატიმრეს, რომლებმაც 52 წლის მასწავლებელს გაზიან სასმელში წითელი წიწაკა ჩაუყარეს. გოგონებს ბრალი მოწამვლის და სამომხმარებლო პროდუქტის ფალსიფიცირების ფაქტზე წარედგინათ.

ვოლუსის ოლქის შერიფის წარმომადგენელმა გარი დევიდსონმა განაცხადა, რომ ასეთი საშუალებით შეეცადა ერთ-ერთი მოსწავლე, შური ეძია მასწავლებელ ჯეინ მორგანზე, რომელმაც ის ცუდი ყოფაქცევისთვის დასაჯა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსწავლე გოგონამ რამდენიმე დღით ადრე თანაკლასელს მოჰპარა ნოუთბუქი, ზურგჩანთაში კი წებო ჩაუსხა.

დისციპლინარული სასჯელის შემდეგ, გაბრაზებულმა გოგონამ სკოლაში დაფქვილი წითელი წიწაკა მიიტანა. მეორე მოსწავლე გოგონამ მასწავლებლის ყურადღება მიიპყრო, სანამ მესამე მოსწავლე მის სასმელში წიწაკას ურევდა.

როდესაც მასწავლებელმა გაზიანი სასმელი მოსვა, სულის ხუთვა დაეწყო. ამის შემდეგ მან სასმელი სუფთა ჭიქაში ჩაასხა და სწორედ მაშინ აღმოაჩინა მასში შერეული წითელი წიწაკა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი
## 1 მარტისათვის



**ვერძი** — იყავით გაბედული და გადაწყვეტილება თამამად მიიღეთ. ძალზე დაძაბული პერიოდი გეწყებათ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **კურო** — ნუ იქნებით პრეტენზიული. თავმდაბლად იმუშავეთ. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. **ტყუპები** — თქვენთვის დამახასიათებელი პირდაპირობის გამო, შესაძლოა, გარშემომყოფებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. გრძელვადიანი გეგმებისთვის შეუფერებელი პერიოდია. **კირჩხიბი** — პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. **ლომი** — ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **ქალწული** — კრიტიკული დღეა. დღეს ნებისმიერი პრობლემის მოგვარება თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. წვრილმანებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ. **სასწორი** — პასიური დღეა. ერიდეთ საქმიან კონტაქტებს. შეეცადეთ, ნებისმიერ უსიამოვნებას ფილოსოფიურად მიუდგეთ. **ღრიანკალი** — თუ აქტიურად დასვენება გადაწყვიტეთ, ნაცნობ-მეგობრებიც აიყოლიეთ. კარგად გაერთობით. წარმატება გელით სიყვარულში.**მშვილდოსანი** — კეთილისმყოფელი და პერსპექტიული დღეა. ყოფით პრობლემებს წარმატებით მოაგვარებთ. რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ გააკეთებთ. **თხის რქა** — დიდი ყურადღება გამოიჩინეთ საქმიანი ქაღალდებისადმი. შეცდომის დაშვება კრახის ტოლფასი იქნება. **მერწყული** — დღეს თავს ძალიან ბედნიერად გრძნობთ. მიენდეთ ადამიანებს და მათ გულწრფელობაში ეჭვს ნუ შეიტანთ. **თევზები** — ძალზე აქტიური დღეა. მშვიდად იმუშავეთ. შრომა დაგიფასდებათ. მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ავსტრიელი კომპოზიტორი ოპერა „ფიგაროს ქორწინება"-ს მუსიკის ავტორი; 2. რაიმე მოქმედების აღმძვრელი მიზეზი; 3. ქართული, მშრალი სამარკო ღვინო, რომელიც იწარმოება 1886 წლიდან, მინიჭებული ჰქონდა პირველი ნომერი; 4. კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 9. საზეიმო სიმღერა, სახელმწიფოს სიმბოლო; 10. ფანტასტიკური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 16. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 19. წვრილმანი, ფორმალური წესების დამცველი ადამიანი; 20. დაბალი ხარისხის შაქარი; 21. ძრავიანი ველოსიპედი.

**თარაზულად:** 6. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 7. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. თურქული აბანო; 11. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 13. გადასახდელ სახურავიანი ძველებური ეტლი; 17. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. ებრაელთა რელიგიური საყოფაცხოვრებო და სამართლის წესების, კანონების კრებული; 23. გიგანტური აფრიკული ხე; 24. გემის ოფიციანტი; 25. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სემინარი; 6. კონტროლი; 10. სინოდი; 11. ტარანი; 12. ანიზოტროპია; 17. ამარეტო; 18. კელნერი; 19. ნაპრალი; 20. კრისტინა.

**შვეულად:** 1. კემბრიჯი; 2. სალუტი; 3. ანდანტე; 4. ალასანია; 7. კორტასარი; 8. კარატისტი; 9. პრიმადონა; 13. ლამპიონი; 14. მარაკანა; 15. ნორმალი; 16. რემისია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნასკვი; 2. ლომი; 3. ირონია; 4. სალარო; 5. იმრე; 6. კაა; 7. მისის; 8. ერბო; 9. კარუზო; 10. საინი; 11. ტემპერა; 12. პა; 13. ერა; 14. კატამარანი; 15. რაკურსი; 16. რო; 17. ორმო; 18. აკონკაგუა; 19. პკე; 20. აგნი; 21. ზა; 22. არისა; 23. ასი; 24. აჯა; 25. მსაჯი; 26. ონაგრი; 27. პატრი; 28. პაი; 29. ისა; 30. ინტუიცია; 31. ანოა; 32. ცანა; 33. ჟერარ; 34. ისინდი; 35. კრიმინალისტი.

**სურათებზე:** ჯილიან ანდერსონი; ჯონ ტერი.

# ანა ვინტური ანუკი არეშიძეს მილანში ესტუმრა

ამერიკული ვოგის ლეგენდა ანა ვინტური ახალგაზრდა ქართველ დიზაინერს ანუკი არეშიძეს მილანში ესტუმრა და მისი კოლექცია პირადად დაათვალიერა.

ქართველი დიზაინერი თავისი ბრენდით „ანოუკი" ვოგი იტალიას და იოქს.ქომის ახალბედა ბრენდების-ნიჭიერი დიზაინერების კონკურსში მონაწილეობს. ანუკიმ ახალი კოლექცია იტალიაში შოუ რუმში განათავსა. კონკურსანტების კოლექციები



დაათვალიერეს მოდის სამყაროში ცნობილმა ანა ვინტურმა, სიუზი მენქსმა, ფრანკა სოზანიმ, ანა დელო რუსომ.

ვოგი იტალიას აქვს პროექტი „ზი ნექს ტალეტნს", რომელიც ყოველწლიურად მილანში იმართება და ახალი ტალანტების აღმოჩენასა და პოპულარიზაციას ემსახურება. ვოგი იტალიას ახალი ტალანტების განყოფილების ხელმძღვანელის რჩეული ანუკი არეშიძე გახდა.

ანუკი არეშიძე ბოლო პერიოდში აქტიურად წარადგენს თავის ახალ კოლექციებს იტალიასა და საფრანგეთში. მისი სამოსი უკვე იყიდება მოსკოვში, სანკტ -პეტერბურგში, ჰონგ კონგში. სულ მალე ანუკი თავისი კოლექციების გაყიდვას ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გეგმავს. ტანსაცმლის გარდა, ახალგაზრდა დიზაინერი ფეხსაცმელზეც მუშაობს და ორიგინალურ კოლექციებს ქმნის, რომელიც იტალიაში უყურადღებოდ არ დარჩენილა.

# კახი კავსაძე: „სადაც სიყვარულია, იქ ღმერთია!"



რუსთაველის თეატრის მსახიობი კახი კავსაძე ქართულ საზოგადოებაში გაბატონებულ შუღლს და მტრობას ეხმაურება. 80 წლის ხელოვანი საყვარელ საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობას ნატრობს, რადგან, მისი აზრით, მშვიდობა სამშობლოში უმთავრესია.

**კახი კავსაძე:**

– ჩემს სამშობლოს, საქართველოს ვუსურვებ მშვიდობას. სადაც მშვიდობაა, იქ თეატრია, სადაც თეატრია, იქ პიესებია, იქ სცენარია, იქ წიგნია, სადაც წიგნია, იქ პოეზიაა, სადაც პოეზიაა, იქ სუფრაა, სადაც სუფრაა, იქ პატივისცემაა, სადაც პატივისცემაა, იქ სიყვარულია, სადაც სიყვარულია, იქ ღმერთია. ჩვენთან არს ღმერთი!

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე არმაზი, შვილები თამუნა, გიორგი შალაშვილები, რძალი ეკა სეხნიაშვილი, სიძე ირაკლი კოტრიკაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მზია ლოლაძე-შალაშვილი**

დაკრძალვა: 1 მარტს, 14 საათზე.
მისამართი: კოსტავას ქ.№24, V სართული, ბინა 12.



ბონდო გერგედავა, ლივტერ (აპოლონ) ჯღარკავა, რამინ ჯღარკავა, თინა ჯღარკავა-შერვაშიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ნოდარ ილიკოს ძე კილანავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# აჭის ულამაზესი ხეობა საფრთხეშია

ლიხაურში მდებარე აჭის ულამაზეს ხეობას საფრთხე ემუქრება. ინფორმაციას გიორგი სარიშვილი ავრცელებს და იმ გეგმას ასაჯაროებს, რომლითაც თემურის წყაროს, დევის ქვას და ხეობაში არსებულ ულამაზეს კლდეებს აფეთქებას უპირებენ. ამის მიზეზი კი ბაზალტის მოპოვებაა.

**გიორგი სარიშვილი:**

– მოგმართავთ ყველას, ვისაც ლიხაური გიყვართ! აჭის ულამაზეს ხეობას საფრთხე ემუქრება!

ვიღაცას „გენიალური აზრი" ესტუმრა, დევის ქვაზე ქვის კარიერის გაკეთება და, შესაბამისად, ბევრი ფულის გაკეთება!

როგორც ამ „გენიალური აზრის" ავტორისგან გავიგეთ, ყველგან, ყველა ინსტანციაში საქმე მოგვარებულია, ან როგორც მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძე იტყოდა, „გაიმასქნებულია" , მხოლოდ სოფლის დასტურია საჭირო და, ჰერი, ბიჭო! შეესევიან აჭის ხეობას, თემურის წყაროს, დევის ქვას! ააოხრებენ და ააქოთებენ იქაურობას ბაზალტის მოსაპოვებლად! სავალი გზიდან სულ რაღაც 30 მეტრში!



გარდა იმისა, რომ წყარო დაშრება, კლდე ჩამოინგრევა და გზა გაფუჭდება, სამუდამოდ დამახინჯდება და შეიცვლება აჭის ხეობა, მდინარის კალაპოტი!

როგორც ვიცი, კლდე აფეთქებებით უნდა დაშალონ!

აჭის ხეობაში კი VIII საუკუნის ძეგლი, წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას, რომელშიც ძლევამოსილის მიერ გველეშაპის დამარცხების უნიკალური ფრესკაა დაცული.

თუმცა, ეჭვი მეპარება „გენიალური აზრის" ავტორებმა ამის შესახებ რამე იცოდნენ! ჰოდა, თუ არ იციან, ჩვენ ვაფრთხილებთ მათ, აჭის ხეობასთან მიკარება არ გაბედონ! ნურც გარემოს დაცვის სამინისტრო ან სხვა უწყება შეიწუხებს თავს ჩვენი დამშვიდებით, აქაოდა, საშიში არაფერიაო, ჩვენც გაგვეგება რაღაც და უკეთესად ვიცით, რა არის სასარგებლო ლიხაურისათვის და რა საზიანო.

„ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები!" ვერც XIX საუკუნის დამანგრეველები გაბედავენ რამეს!

აჭის ეკლესიაში 200 წელი სწირავდნენ ჩემი წინაპრები, თაყაიშვილები და კონტრიძეები! ფრთხილად, ბატონებო, მე მათ ნაკვალევს არავის წავაშლევინებ! ჩემთან კი მთელი სოფელი დგას!

# ლაშა ბუღაძე: „გალიზიანებულებმა, გთხოვთ, არ წაგვიკითხოთ!"

მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე ქართველი პრიმა ბალერინას, ნინო ანანიაშვილის, დიდ თეატრში გამოსვლას ახალი ჩანაწერით ეხმაურება და მას რენე დეკარტის ცნობილ ფრაზას უმძღვარებს წინ: „ვარსებობ, მაშასადამე მაღიზიანებს!"

**ლაშა ბუღაძე:**

– უდიდესი გალიზიანებით გავეცანი ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ცნობილ ქართველ ბალერინას მაინცდამაინც 25 თებერვალს უცეკვია მოსკოვის „დიდ თეატრში."

მაგრამ, როცა ამაზე ვიყავი გალიზიანებული, ამავდროულად ბალერინის მოსკოვში ცეკვით გალიზიანებულთა გამოხმაურება-კომენტარებითაც მომიწია გაღიზიანება: გალიზიანებულმა ქართველებმა, ტრადიციის შესაბამისად, დაუნანებლად გაიმეტეს ლანძღვისთვის ოდესღაც ყველასთვის საყვარელი მოცეკვავე და თავიანთი გალიზიანებულობით გამაღიზიანეს:

– რომელი ერთი მყავდით მერაბ კოსტავა, ასე რომ მორალისტობთ 25 თებერვლის გამო! – ვთქვი ჩემთვის, – ან რა გაგიკვირდათ ბალერინისგან, რომლის პროფესიული თუ ბიოგრაფიული იდენტობის ნაწილიც მოსკოვის „დიდი თეატრია", 25 თებერვალი მისთვის ყოველთვის ისეთივე აბსტრაქცია იყო, როგორც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის.

ეს ვთქვი და გავაცნობიერე, რომ შუადღისთვის უკვე ორ რამეზე ვიყავი გალიზიანებული: ბალერინის და მისი დასის დაუფიქრებელ ცეკვაზე მათთვის აბსტრაქტულ 25 თებერვალს და გამმეტებელ ქართველებზე, რომლებიც ადვილად გაწირავენ და გადაუვლიან ყველას, თუკი გალიზიანების გამოხატვის შესაძლებლობა ექნებათ.

ამის შემდეგ მე გავეცანი ბალერინის ცეკვით გალიზიანებულებზე გალიზიანებულების გალიზიანებულ კომენტარებს, სადაც ისინი ამბობდნენ, რომ ეს საიუბილეო? კონცერტი ერთი წლის წინ იყო დაგეგმილი და ბალერინას საერთოდ არ უფიქრია ამ თარიღზე, რაც მერე თავად მო-



ცეკვავემაც დაადასტურა მისთვის დამახასიათებელი დაბნეული და გულგრილი გალიზიანებულობით.

ცეკვით გალიზიანებულებზე გალიზიანებულებს დამატებითი გალიზიანებულობით გალიზიანებულებმა მიაყენეს ახლებურად გამაღიზიანებელი შეურაცხყოფები და ისევ მომქანცველად გამაღიზიანეს.

ამასობაში, გავეცანი კიდევ ერთი გალიზიანებულის, უფრო სწორად კი, სულ სხვა რამეზე გალიზიანებულის კომენტარს იმის შესახებ, რომ ახლა ბალერინაზე გალიზიანების დრო არ იყო და ყველანი მაღაროელთა მჩაგვრელ ნაძირლებზე უნდა გავლიზიანებულიყავით, „წავიდეთ ტყიბულში!" – მოგვიწოდა სულ სხვა რამეზე გალიზიანებულმა, მაგრამ თვითონ არ წასულა.

მიუხედავად იმისა, რომ მაღაროელთა გამაღიზიანებელ მჩაგვრელებს მეც ნაძირლებად მივიჩნევ, ისევე, როგორც ნებისმიერ მჩაგვრელს, ამ ბოლო გალიზიანებულის მეტიჩრულმა გამოხტომამ დამატებით გამაღიზიანა და ეს სიტყვები ამომათქმევინა:

– შენ ვინ გეკითხება, ვინ რაზე გალიზიანდება და არა, მეტიჩარავ! რომელი კარლ ლიბკნეხტი შენ მყავხარ, აქ რომ მორალისტობ გამაღიზიანებლად!

მაგრამ ისევ ვერ მოვახერხე ჩემი გალიზიანების შენარჩუნება, რადგან ძალიან გამიჭირდა რომელიმე ერთ გამაღიზიანებელ მოვლენაზე კონცენტრირება; 25 თებერვალს „დიდ თეატრში" ცეკვა და ამ ცეკვით გალიზიანებულმა გამმეტებელმა ხალხმა სრული დომხალი წარმოქმნა გალიზიანების ჩემეულ სისტემაში.

ბოლოს, ფრთხილი რუდუნებით მივაყურადე ჩემი გალიზიანების მთავარ ცენტრს და დავფიქრდი, მაინც რომელ გამაღიზიანებელს დავაყენებდი გალიზიანების პირველ ნომრად: 25 თებერვლის გამაღიზიანებელ ცეკვას თუ ცეკვით გალიზიანებულთა პრინციპში სამართლიან, მაგრამ გამაღიზიანებელ გალიზიანებას?

და მივხვდი: რეალურად არც ერთს, არც მეორეს, რადგან თუკი რამე მაღიზიანებს, სწორედ ეს ფენონები, თავად გალიზიანებულობაა, ყველათი და ყველაფრის გამო.

და ისიც ვიცი, რომ ახლა ჩემზეც ღიზიანდება ზოგიერთი მკითხველი და ერთი სული აქვს, ეს მომაძახოს:

„შენ ვის გალიზიანებაზე ლაპარაკობ, როცა შენ თვითონ ხარ გამაღიზიანებელი!"

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## პროგრამა

**სამშაბათი**
**1 მარტი**

07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება ათენში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" – სუპერსპოტსმენები (ვაშაგაშვილი) 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "ცხოვრება ციფრებში" 21.00 სოციალური თოქ-შოუ 22.00დ/ფ "თოფგიარი" 22.55 ეპოქის ფრაგმენტი" – მეთევზე გიორგი მახარაშვილი 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**შიშის კონცხი**" 03.00 "პირადი ექიმი"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "წელიწადის დრონის ფენომენი" 13.00 დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ცოდნა ფულია 23.00 ოპერისა და ბალეტის თეატრის საზეიმო გახსნა – "**აბესალომ და ეთერი**" 01.00 მხ/ფ "**თავშესაფარი**" 03.10 მხ/ფ "**რემბო 4**" 04.40 ერთხელ საქართველოში 05.05 მხ/ფ "**უცხოები**" (ტიტ.)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00, 15.30 Discovery- ფილმების მეცნიერება 10.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 11.30 შუადღე 14.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ცენტრი**" 16.30 აირჩიე კაბა 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.00 მზარეულები 22.30 მხ/ფ "**ტელევიქტორინა**" 0.55 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექეცი 1.55, URBAN STORIES 2.45 ჯიდიპედია

06.10 სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" III ნაწ. 07.00 დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" II ნაწ. 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 ზღვარზე–ბოლერო 11.10 თაობა ზეტი 11.30 გამოყენებითი ხელოვნებ "ფერწერა და ნილბები–თამარ შაშიაშვილი" 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მხ/ფ "**იყო შაშვი მგალობელი**" 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ჰელიკონია-სტრიქტა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 კონცერტი 17.10 მგზავრები წუთისოფლისა "არგვეთის თემი" 17.45 სიბრძნისმეტყველება-აბიბოს ნეკრესელი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 სჯანი 19.50 ღია აუდიტორია ნესტან სულავა II ნაწ. 20.30 კვირიაკის სიუჟეტი 20.40 ძილი ნებისა "წიქარა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 07.55გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00"კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარმელიტა 18.00**"კონტაქტი ექვსზე" 19.05, 02.30 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00"კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**ფროიდის მეთოდი**" 21.30თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**1 მარტისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4778

ევრო — 2.7293

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4679

100 რუსული რუბლი — 3.3064

## ამინდის პროგნოზი 1 მარტისთვის






კალეიდოსკოპი

## ამერიკულმა გოჭებმა ინსტაგრამი დაიპყრეს



ამერიკულმა გოჭებმა პრისცილამ და პოპლტონმა ინსტაგრამი დაიპყრეს. ინტერნეტ-ვარსკვლავების გვერდს უკვე 600 ათასზე მეტი ხელისმომწერი ჰყავს.

გოჭები თავიანთ პატრონთან, სკოლის მასწავლებელ მელისა ნიკოლსონთან ერთად ფლორიდაში ცხოვრობენ. ქალის თქმით, დასა და ძმას ძალიან უყვართ ერთმანეთი და სულ მუდამ ერთმანეთს ეხუტებიან.

როგორც პრისცილასა და პოპლტონის პატრონმა აღიარა, ის არ მოელოდა, რომ მათი ინსტაგრამი ასეთი პოპულარული გახდებოდა.

გოჭები ინსტაგრამის სხვა ვარსკვლავების ფონზე თავიანთი კოსტიუმების წყალობით გამოირჩევიან. ნიკოლსონი პრისცილასა და პოპლტონს რეგულარულად უცვლის ჩასაცმელებს ფოტოსესიებისთვის.

ნიკოლსონს გოჭები ხშირად მიჰყავს სკოლაში. მისი აზრით, გოჭები ბავშვებს სიკეთესა და თანაგრძნობას ასწავლიან, ასევე დაუვიწყარ გამოცდილებას იძენენ.

გარდა ამისა, ნიკოლსონმა გოჭებზე ორ ათეულამდე წიგნი დაწერა, რომელთა გამოცემასაც მიმდინარე წელს აპირებს.

## ორთქლმავალი „მფრინავი შოტლანდიელი“ რელსებზე დაბრუნდა



სახელგანთქმული ორთქლმავალი „მფრინავი შოტლანდიელი“ ათწლიანი სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ რელსებზე დაბრუნდა. ლოკომოტივის შეკეთება 4,2 მილიონი ფუნტი სტერლინგი (დაახლოებით 5,9 მილიონი დოლარი) დაჯდა.

ორთქლმავალი, რომელიც ახლა უკვე ეროვნულ ღირსშესანიშნაობადაა მიჩნეული, 1923 წელს იქნა აგებული. 2004 წელს ლოკომოტივის მუშაობის უზრუნველყოფა მეტისმეტად ძვირი ჯდებოდა, მაგრამ „მფრინავი შოტლანდიელის“ გადარჩენისკენ მოწოდების შედეგად უამრავი შემოწირულობა იქნა მიღებული.

რესტავრაციის დასრულების შემდეგ ორთქლმავლის პირველი რეისი ლონდონიდან იორკში შესრულდა. ლოკომოტივმა დანიშნულების პუნქტამდე ჩასვლას ხუთ საათზე ნაკლები დრო მოანდომა. თანამედროვე მატარებელს იმავე მარშრუტის გასავლელად ორ საათამდე დრო სჭირდება.

ამიერიდან „მფრინავი შოტლანდიელის“ ნახვა იორკში, რკინიგზის ეროვნულ მუზეუმში იქნება შესაძლებელი.

## ახალი სუნამო ცნობილი ბრენდისგან




ბრიტანულმა ბრენდმა ალექსანდერ მაქქვინმა თავისი ახალი სუნამო წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ ის ევროპის ერთ-ერთი სამოდელო სახლია, რომელსაც საკუთარი პარფიუმერული ბიზნესი არ ჰქონია.

მაქქვინი პარფიუმი გაყიდვაში დღეიდან, 1 მარტიდან გამოდის და 50 მლ სუნამოს ფასი 350 ევრო იქნება. სავარაუდოდ, უფრო იაფფასიან პარფიუმერიის ნაწარმს ბრენდი მიმდინარე წლის ზაფხულიდან გამოუშვებს.

ადრე მოდის სახლს ორი სუნამო ჰქონდა კინგდომი და მაი ქვინი, რომლებიც გაყიდვიდან 2008 წელს იქნა ამოღებული.

როგორც ბრენდის კრეატიულმა დირექტორმა სარა ბერტონმა განაცხადა, ის პარფიუმერიის შექმნას ისეთივე გულმოდგინებით მიუდგა, როგორც ახალი კაბის შექმნას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 1 მარტიდან

### გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

# დონალდ ტრამპი

## იფიქრე ჩემპიონივით




**დონალდ ტრამპის სახელი უკავშირდება უზარმაზარი იმპერიის შექმნას უძრავი ქონების სფეროში, ბრენდისა, რომელიც ოქროს სტანდარტის სინონიმად იქცა.**

**ამჟამად ის აშშ-ის პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძვის და ყოველდღე შოკში აგდებს მსოფლიოს რადიკალური ქცევითა და განცხადებებით.**

**დონალდ ტრამპს წლების განმავლობაში დაწერილი აქვს ბესტსელერად ქცეული წიგნები, რომლებშიც გადმოცემულია მისი სისხლსავსე ცხოვრება.**

## ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## ფეხბურთი: საქართველო ესპანეთს შეხვდება



7 ივნისს საქართველოს ეროვნული გუნდი მადრიდში ამხანაგურ მატჩს გამართავს ესპანეთის ნაკრებთან. თამაში ხეტაფეს სტადიონზე, „ალფონსო პერესზე“ შედგება.

ბოლო პერიოდში საქართველოს ნაკრებს ძლიერი სპარინგ პარტნიორების მოძებნა უჭირდა და ამ თემაზე ბევრი საუბარი მიდიოდა. წინა ფედერაციის მუშაობის პერიოდში არგუმენტად მოჰყავდათ ფაქტი, რომ ძლიერ გუნდებს ჩვენი დონის ნაკრებთან თამაში არ სურდათ. რა შეიცვალა 6 თვეში, რთული სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ესპანელებთან ვითამაშებთ.

ამასთან, ეს იქნება ვისენტე დელ ბოსკეს ნაკრების ბოლო ამხანაგური მატჩი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე.

შეგახსენებთ იმასაც, რომ წლეულს ჩვენს ნაკრებს 3 ამხანაგური მატჩი დაგეგმილი ჰქონდა. 29 მარტს ყაზახეთთან, მაისის ბოლოს კი ავსტრიაში სლოვაკეთთან და რუმინეთთან. ესპანეთთან მატჩი კარგია, მაგრამ ჯერ საქართველოს ნაკრებს მწვრთნელიც მოსაძებნი ჰყავს.

**მ. ჟ.**

## მარკუს რეშფორდმა საფეხბურთო ევროპა აღაფრთოვანა



მანჩესტერ იუნაიტედის 18 წლის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა 3 დღის მანძილზე 2 შეხვედრაში 4 გოლის გატანა შეძლო.

რეშფორდმა ჯერ დანიურ მი?ტიულანდს გაუტანა 2 გოლი, კვირას კი არსენალის წინააღმდეგ შეძლო დუბლის შესრულება.

ბუნებრივია, ამ შედეგმა მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება მიიპყრო და რეშფორდი უკვე მომავალ რუნიდ შერაცხეს.

აღსანიშნავია, რომ რუნიმაც პრემიერლიგაში პირველი დუბლი 18 წლის ასაკში შეასრულა, როდესაც ის ჯერ კიდევ ევერტონის რიგებში გამოდიოდა.

რეშფორდის გოლების წყალობით მანჩესტერ იუნაიტედმა არსენალი 3:2 დაამარცხა და ლონდონელების საჩემპიონო ამბიციებს სერიოზული ზიანი მიაყენა.

ამ გამარჯვების შემდეგ მანჩესტერი სატურნირო ცხრილში მე-5 პოზიციას იკავებს.

**ბ. გ.**

## იუმორი



•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ქალო, ერთი წამით მაინც გაჩუმდი, გავიგო, დაიქოქა თუ არა მანქანა!

•••

რაიონიდან თბილისში მეგობართან სტუმრად მისულს ყავით გაუმასპინძლდნენ. შემდეგ მეორე მეგობარს ესტუმრა. იქაც ყავა დაალევინეს. მესამე მეგობართანაც იგივე გამეორდა. მეოთხე მეგობართან მისულსა და უკვე საკმაოდ მოშიებულს მასპინძელი ეკითხება:

– რომელი ყავა გინდა, ცივი თუ ცხელი?

– ცხელი იყოს, ოღონდ შიგ ერთი ცალი კარტოფილი მაინც ჩამიგდეთ, – უპასუხა სტუმარმა.

•••

ორი სომეხი, არმენა და სეროჟა, პლაჟზე ისვენებენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– აგერ, განცხადებაში წერია, რომ ვინც დახრჩობას გადაარჩენს, პრემია ეკუთვნის 50 ლარი.

– მერე?

– შენ წყალში ჩახტი, ვითომ იხრჩობი, მე გადაგარჩენ და ფულს ვიშოვით.

სეროჟამ დაუჯერა, წყალში ჩახტა და ყვირილი მორთო:

– მიშველეთ, მიშველეთ!

ამ დროს არმენა ეძახის:

– ნუ ყვირიხარ, ჩაიძირე.

– რათა?

– აქ წერია, რომ „ტრუპის“ ამოყვანა 100 ლარი ღირს.

•••

ორი დიდი ხნის უნახავი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რას შვრები, როგორ ხარ? დედაშენი ხომ არის კარგად?

– კი, კარგად არის.

– მამაშენი როგორაა? შენი ძმა რას შვრება? ჩამოვიდა რუსეთიდან?

– მამა კარგადაა. ჩემი ძმა ისევ რუსეთშია.

– შენი ბიძაშვილი როგორაა?

– კარგადაა, კარგად.

მოკლედ, ჩამოჰყვა ასე და მოიკითხა მთელი მისი სანათესავო, ბოლოს კი ეუბნება:

– 100 დოლარი ხომ არ გაქვს, რომ მასესხო?

– შენ მაკოცე აგერ კეფაზე.

– კი მარა, კეფაზე რატო?

– როგორც შენ დაიწყე შორიდან, ისე ვიწყებ მეც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბარსელონას ძველი სახელწოდება; 2. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. ამერიკული ქიმიური სამრეწველო კონცერნი; 5. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი; 9. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 12. გემთმშენებლობის ცენტრი უკრაინაში; 14. ოქროს მომპოვებელი კომპანია საქართველოში; 15. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 17. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. აეროპორტი პარიზში.

**თარაზულად:** 6. მიქელანჯელოს ქანდაკება; 7. ქართული მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი, რეჟისორი, სცენარისტი; 8. სტადიონი მეხიკოში; 10. ქართული, მოკლე, უვადო ხმალი; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 13. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი; 16. შემაგრებული ესპანური ღვინო; 19. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 20. ნავთობის საბადო კახეთში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

